პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი ოთხშაბათი 22 აპრილი № 94 (18036) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР



პ. ვასილიევის ნახატი.

ლენინური იდეების დროშით

ფართო ხალხის ხსოვნაშია ბელადის ნათელი სახე, მისი აზრები და იდეები. მათით საზრდოობენ ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყოველი კუთხის მცხოვრებნი, ამ იდეების ერთგულების მეოხებით ასერიგ მტკიცედ რომ დარაზმულ-შედუღაბებულან პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო და ბეჯითად განაგრძობენ რევოლუციის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის მიერ დაწყებულ საქმეს — [illegible]ითი დღე ზრდიან და ამრავლებენ ქვეყნის ხვავსა და ბარაქას, სულ უფრო თვალსაჩინოს ხდიან მის ძლიერებას.

[illegible]ამავითვე კეთილ ტრადიციად დამკვიდრდა, რომ ვ. ი. ლენინის [illegible]ბადების დღე — 22 აპრილი მშრომელთა თაოსნობის, დამკვიდ[illegible]ური შრომის გამოცდილების, ენთუზიაზმის დათვალიერების დღეა. [illegible]ეს გასაგებია. ბელადის სახელს საბჭოთა ადამიანი უკავშირებს [illegible]ოველივე კარგს, რაც კი მისი გარჯითა და თავდადებით შექმნილა [illegible]ა ალორძინებულა; ბელადის სახეს რჩევისათვის მიმართავს იგი ყო[illegible]ელთვის, ყოველ სადგ დღეს, რათა ხახვალიო ნაყოფიერი შრომითვის ახალი ძალა შეიმატოს.

ვ. ი. ლენინის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოს კო[illegible]ენისტების, მშრომელების ყველა წარმატება სოციალიზმისა და კო[illegible]ენიზმის მშენებლობაში. და ახლა, როცა ახლოვდება საბჭოთა საქა[illegible]თველოს მე-60 წლისთავი, როცა გონების თვალს ვავლებთ წარ[illegible]ულს, ერთანეთს ვუდარებთ გუშინდელ და დღევანდელ დღეს და [illegible]ერთმანეთს ვუდარებთ ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ვუკავშირებთ.

60 წლის წინათ, ვ. ი. ლენინი კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების [illegible]ონენტებს სწერდა: „ეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხთა [illegible]ეგზისტენციალური დგომარეობა და დაიწყოთ ელექტროფიკაციის, მორწყვის [illegible]იდი სამუშაოები. ეორწყვა ყველაზე მეტად საბირობა და ყველაზე უფრო ბარდაქმნის მხარეს, აააღორძინებს მას, დაასახ[illegible]ებს წარსულს, გაანამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“.

[illegible]ეთელი ამ სამოცი წლის მანძილზე საქართველოს კომუნისტები, [illegible]ველა მშრომელი ერთგულად ასრულებდნენ ლენინის განაწესს — [illegible]ენინს არ ზოგავდნენ, რომ რადაც უნდა დახჯდომოდათ ყოველ[illegible]ირად განვითარებინათ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები უფრო [illegible]ულად გამოეყენებინათ ბუნებრივი რესურსები—ნავთობი, მანგანუმი, [illegible]ვანაბრშირი, ხპილენძი; გაჩაღდა დიდი სალელტრიფიკაციო და სარწყვ[illegible]ი სამუშაოები, რადგან მორწყვა, ლენინის სიტყვით, ყველაზე მეტად [illegible]ეზრდა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, ააღორძინებს მას.

ბელადის დაბადების 111-ე წლისთავზე საქართველოს კომუნისტებს [illegible]ინამეკით შეუძლიათ უპატაკონ, რომ აღსრულდა ბელადის მთავარი [illegible]ოთხოვნა — დღეს ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიულ იერსახეს [illegible]ნენ მანქანათმშენებლობა, ავტომობილმშენებლობა და თვითფრი[illegible]ავმშენებლობა, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსაშენებელი [illegible]ანწარმოები, მძლავრი ბმოსადგურები და ჰიდროელექტროსადგურე[illegible]ი, შავი და ფერადი მეტალურგია, სამთო-მომპოვებელი მრეწველობა, [illegible], რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, ქიმიის გიგანტური [illegible]ანწარმოები, მაღალგანვითარებული მსუბუქი და კვების მრეწველობა [illegible]ის დარგები. ეს ნიშნავს, რომ ხორცი შეისხა ვ. ი. ლენინის მიერ [illegible]ასახულმა ამოცანამ — მთელი ძალ-ღონით გაგვევითარებინა მდი[illegible]არი მხარის საწარმოო ძალები...

საქართველოს კომუნისტებს შეუძლიათ ბელადის დაბადების დღეს [illegible]უპატაკონ, რომ საქართველოში, ვ. ი. ლენინის თქმით, „რუსეთზე [illegible]ეფრო გლეხურ ქვეყანაში“, სასოფლო-სამეურნეო წარმოება ახლა [illegible]ინდუსტრიულ რელსებზე დგას და ეს ლენინური კოოპერაციული გეგ[illegible]მა, სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის, საბჭოთა [illegible]ეურნეობების შექმნის, მეცნიერების მიღწევათა და მოწინავეთა გა[illegible]ოცილების თანმიმდევრული დანერგვის შედეგია, რომ მკვეთრად [illegible]ანვარდა ისეთი ძვირფასი მრავალწლოვანი ნარგავების ხვედრითი [illegible]ილი, როგორიც არის ჩაი, ციტრუსი, ვაზი, ტუნგი, ხეხილი, გაუმ[illegible]ობესდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკური აღჭურვილობა, ამაღლდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურა.

ბელადის დაბადების დღეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს შე[illegible]უძლიათ იამაყონ მიღწევებით სოციალისტური კულტურის განვითა[illegible]ებაში, მეცნიერებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ეს ნიშ[illegible]ავს, რომ საქართველო — წინათ რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი გა[illegible]ნაპირა მხარე, დღეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლი[illegible]ა, რომელსაც აქვს თანამედროვე ინდუსტრია, მაღალგანვითარებუ[illegible]ი საზოგადოებრივი სოფლის მეურნეობა და შესანიშნავი, თავის[illegible]ადი, ძველთა ძველი და მდიდარი კულტურა — შინაარსით სო[illegible]ციალისტური, ფორმით ეროვნული და სულისკვეთებითა და ხასიათით [illegible]ინტერნაციონალისტური კულტურა.

საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელს ეამაყებათ და [illegible]ახალი გამარჯვებისათვის მოუწოდებს ის დიდი შეფასება, რომელიც [illegible]ან შრომას მისცა სკკპ XXVI ყრილობამ, პირადად ამხანაგმა ლ. ი. [illegible]ბრეჟნევმა.

[illegible]ა დღეს ამ დიდ შეფასებას ჩვენი კომუნისტები, რესპუბლიკის [illegible]ველა მშრომელი განუზრელად უკავშირებენ ლენინის სახელს, და [illegible]ნიათ, რომ მიღწევები სამეურნეო თუ კულტურულ მშენებლობაში ლენინური მოძღვრების, ლენინის ანდერძის განხორციელების, [illegible]ენინური ეროვნული პოლიტიკის — სოციალიზმის ერთ-ერთი უდი[illegible]ი მონაპოვრის — ხალხთა თანამშრომლობისა და მეგობრობის [illegible]ოლიტიკის ხორცშესხმის შედეგი.

[illegible]ახალი ცხოვრების მშენებლობის პროცესი, სახალხო მეუ[illegible]ეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის პროცესი, საზოგადო[illegible]ებრივი და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში მოგახდარი [illegible]ძირეული ცვლილებები გახდა საქართველოს მშრომელი მა[illegible]ესების კომუნისტური აღზრდის, მათს შეგნებაში ლენინური [illegible]ოდებნი, ლენინური იდეალების დამკვიდრების საუკეთესო [illegible]ასტურა“. — აღნიშნავს ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე თავის სტატიაში [illegible]ენინი მუდამ ჩვენთან არის“.

[illegible]ენინის ანდერძს რომ ასრულებენ, რესპუბლიკის კომუნისტები, [illegible]ველა მშრომელი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტე[illegible]ის მეთაურობით განუზრელად ხელმძღვანელობენ სკკპ XXVI ყრი[illegible]ლობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვე[illegible]ტილებებით, სოციალისტური მეურნეობის ლენინური პრინციპებით [illegible]ლენინის იმ მითითებით, რომ ახლა საზოგადოებაში ეკონომიკური [illegible]ოლიტიკა ჩვენი მთავარი პოლიტიკა უნდა იყოს, რომ სამეურნეო [illegible]ამე ჩვენი საერთო საქმეა, ჩვენი ყველაზე ხაინტერესო პოლიტი[illegible]ა.

[illegible]ეკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კო[illegible]ეტის მიერ განხორციელებულმა პრინციპულმა ღონისძიებებმა, [illegible]ლლებიც ჩვენს საზოგადოებრივ საქმიანობაში ლენინური ნორმე[illegible]ბიდან ყოველი გადახრის აღკვეთას ისახავს მიზნად, სასურველი ნა[illegible]ი გამოიღო. მეურნეობის ლენინური სტილის დანერგვის მეოხე[illegible]ბა მივაღწიეთ რესპუბლიკის კომპლექსური ეკონომიკური და სო[illegible]ციალური განვითარების ტემპის დაჩქარებას, ბევრი რაოდენობრივი [illegible]ოვისებრივი მაჩვენებლის გაუმჯობესებას.

საქართველოს კომუნისტებს მუდამ ჰქონდათ და მათს ხასიათში [illegible]ელ განსაკუთრებით ჩანს მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის [illegible]ელი გრძნობა, რომელიც თან გვახლდა და კვლავაც უნდა გვახლ[illegible]ს ყველა საქმეში, მთელ ჩვენს საქმიანობაში, ცხოვრების სხვადა[illegible]ა დარგში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების, ჯერ კიდევ შე[illegible]რჩენილი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს [illegible]ნობა უნდა გაჰყვეს ჩვენს ახალ ლაშქრობას დევიზით „ეკონომიკა [illegible]ეკონომიური უნდა იყოს“, რომელიც სკკპ XXVI ყრილობის მთავარი [illegible]ედანი მოთხოვნაა; ეს გრძნობა უნდა გაჰყვეს საქართველოს [illegible]ომელთა თავდადებულ შრომას მეთერთმეტე ხუთწლედში, რომ[illegible]ს ერთი მცირე მონაკვეთი დღეს, 22 აპრილს, ბელადის დაბადების [illegible]ეს თავვრდება, როცა კოლექტივები აჯამებენ ოთხი თვის ვალდე[illegible]ულებათა შესრულების შედეგებს, იმ ვალდებულებებისა, რომლე[illegible]ც ბელადის დაბადების დღისათვის ჰქონდათ ნაკისრი.

[illegible]როგორც ყოველთვის, ეს შედეგები თვალსაჩინო და მნიშვნელოვა[illegible], და ეს იმიტომ, რომ მშრომელი ხალხი თავის ნაბიჯს დღეინდელ[illegible]ენინის მიხედვით ამოწმებს, დღენიადაგ დღე ბელადს ეთათბირე[illegible]ბის ანდერძს ასრულებს, ლენინურად ცხოვრობს და მუშაობს.

[illegible]ბიტომაც დღეს დიდებულად ეღერს სკკპ ცენტრალური კომიტე[illegible]ის საპარტიულმაილო მოწოდების სიტყვები: ლენინის დროშით, [illegible]ენინისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზ[illegible]ის გამარჯვებისაკენ!

დაე, საუკუნოდ ცოცხლობდეს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელი და საქმე!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან

ილიჩის ანდერძის ერთგულნი

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის სახელი და საქმე ახლობელი და ძვირფასია ქვეყნად ყველა ადამიანისათვის. ლენინის გენიით გაცისკროვნებულია საბჭოთა საქართველოს გამარჯვებანი და მიღწევები სამოცი გმირული წლის მანძილზე, მისი ბრძოლა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა. წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ასრულებენ რა ვ. ი. ლენინის ბრძნულ ანდერძს, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები კიდევ უფრო სულყოფენ ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებს, განამტკიცებენ პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას, ამაღლებენ კადრების პასუხისმგებლობას, აძლიერებენ იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას, იბრძვიან სოციალისტური კანონიერების და კომუნისტური მორალის ნორმების დარღვევითა აღმოფხვრისათვის.

21 აპრილს თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა საქართველოს დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თბილისის გენერნონის ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 111-ე წლისთავს მიეძღვნა.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშვილი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ჯ. ნ. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, პარტიის ვეტერანები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული მუშაკები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მხედართმთავრები.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. ნ. მენთეშაშვილმა.

დარბაზში ეღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ლენინის საქმის ერთგული განმგრძობის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 111-ე წლისთავის შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ა. ანდრონიკაშვილმა.

შეკრებილებმა მოისმინეს ნაამბობი მსოფლიო პროლეტარიატის დიდ ბელადზე მარქსიზმის თეორიის განვითარებასა და საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის პრაქტიკაში მის ფასდაუდებელ წვლილზე, იმაზე, თუ როგორ იზრდება მარქსისტულ-ლენინური იდეების ზემოქმედება მსოფლიო რევოლუციურ პროცესზე. მომხსენებელი შეეხო სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ნაყოფიერი საქმიანობის, სკკპ XXVI ყრილობის მიერ შემუშავებული ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრანდიოზული გეგმისა და მშვიდობის პროგრამის თანამიმდევრული განხორციელებისათვის პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის დაუცხრომელი ბრძოლის კონკრეტულ შედეგებს.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, აღფრთოვანებული არიან ქვეყნის კომუნისტთა უმაღლესი ფორუმის გადაწყვეტილებებით, განსაზღვრავენ პარტიის დიდებულ წინასწარდასახულობათა წარმატებული განხორციელების კონკრეტულ ამოცანებს. განუხრელად ასრულებს რა დიდი ბელადის ანდერძს, ოთხგზის ორდენოსანი საბჭოთა საქართველო სულ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის, სოციალური განვითარების ყველა დარგში. ამის მკაფიო დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომლითაც ზედიზედ მერვედ დაჯილდოდა რესპუბლიკა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებისათვის. ეს წარმატებები, აღინიშნა მოხსენებაში, დიდნიშნელოვანი საფეხურია შემდგომი წინსვლის გზაზე. ისინი იმის საიმედო გარანტიაა, რომ პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი ამრავლებენ რესპუბლიკის მიღწევებს, უზრუნველყოფენ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა უთუოდ შესრულებას.

საზეიმო სხდომის მონაწილენი ფეხზე ამდგარი მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

სხდომის მონაწილეთათვის გაიმართა დიდი საზეიმო კონცერტი. რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ხელოვნების ოსტატები. (საქინფორმი).

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი — პრაქტიკულ საქმედ!

ყოველი დღე — დამკვრელური!

XI ხუთწლედის ჰორიზონტები

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1985 წლისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საჰაერო ტრანსპორტის საკითხს. მეთერთმეტე ხუთწლედში აღნიშნული სახეობის ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა 1,3-ჯერ უნდა გაიზარდოს.

გოლო ხანს ჩვენს რესპუბლიკაში გაუმჯობესდა მეორეული ლითონის დამზადების პროცესი. მთელი რიგი სამინისტროების, საწარმოების, სატრანსპორტო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა გაითვალისწინეს გაზეთ „კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლები ამ საკითხთან დაკავშირებით და შესაბამისად გარდაქმნეს მუშაობა.

მაგალითად, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, რომელიც სისტემატურად ვერ უზრუნველყოფდა მისთვის გათვალისწინებული რაოდენობის ჯართის შეგროვებას, პირველ კვარტალში მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 92 ტონა ლითონი მიაწოდა. უფრო მეტი ნედლეული გაუგზავნეს გეგმის გადამეტებით მეტალურგიულ და მანქანათმშენებელ ქარხნებს რესპუბლიკის საავტომობილო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებმა. სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით საშენ მასალათა სამინისტროზე, რომლის წინსვლასაც ამ მხრივ, ჩვეულებრივ, რუსთავის ცემენტის ქარხანა აბრკოლებს. ხხვათა შორის, მეცემენტიეებს რომ გამართულად ემუშავათ, ქალაქი რუსთავი, რომელმაც კვარტალის დავალებას 763 ტონით გადააჭარბა, თავის აქტივში კიდევ 125 ტონა ჯართს ჩაიწერდა.

მეორეული ლითონის დამზადებას პარტიული, სახელმწიფოებრივი პრინციპულობით მიუღგნენ თბილისის ყველა რაიონში, ქუთაისში, გარდაბანში, აჯარაში, მახარაძეში, თელავში, ჩხოროწყუში, და ზოგიერთ სხვა ქალაქსა და რაიონში. სწორედ საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შედეგია, რომ რესპუბლიკაში ჯართის დამზადების მიმდინარე წლის სამი თვის გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით შესრულდა.

ეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნო ფაქტია და ზოგს შეიძლება ეგონოს, მეორეული ლითონის შეგროვების სახელმწიფო დავალებების რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები უკვე გადაიჭრაო. არა, ამ მხრივ სტაბილური მდგომარეობა მაინც ვერ შეგქმენით. წარმატება მიღწეულია იმათ ხარჯზე, ვინც მაღალნაყოფიერად შრომობს და ნედლეულს მომხმარებელს გეგმის გადამეტებით და რიტმულად აწვდის. სამაგიეროდ მათ ზურგს ეფარებიან მცხეთის, ადიგენის, კასპის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, თეთრი წყაროს, წალკის, წითელწყაროს, ბოლნისის, ონის, ყაზბეგის რაიონები. ამ რეგიონებმა ვერ შეასრულეს პირველი კვარტალის დავალებები და სახელმწიფოს ასობით ტონა ლითონი დააკლეს.

რა უშლით ხელს გეგმების შესრულებაში? ზემოჩამოთვლილი რაიონების პარტიული კომიტეტები ალბათ გასცემენ პასუხს ამ კითხვაზე.

ლითონის შეგროვების გეგმის შეუსრულებლობის მხრივ შარშან განსაკუთრებით გამოირჩეოდა აფხაზეთის ასსრ. წლეულს აქ მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ ეს ჯერ არ არის საკმარისი. პარტიის საოლქო კომიტეტმა, ამ საკითხზე უფრო მეტად რომ გაამახვილოს ყურადღება, საქმეს აუცილებლად ეშველება. ეს ეხება სამხრეთ ოსეთის პარტიის საოლქო კომიტეტსაც. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ამ მიმართულებით „საქსახსოფლტექნიკის“, ბათუმის მანქანათმაშენებელი და თბილისის კიროვის სახელობის ჩარხთსაშენებელი ქარხნების, „საქჰიდროენერგომშენის“ და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციის მუშობაც.

ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფოსათვის ლითონის ჯგუფების მიხედვით ჩაბარებას. ეს ზელსაყრელია როგორც მომხმარებლისთვის, ისევე მომწოდებლებისთვისაც. დახარისხებული ლითონის ჩაბარებით საწარმოს შეუძლია მკვეთრად გაიუმჯობესოს ფინანსური მდგომარეობა.

როგორც ზემოთ ითქვა, ლითონის დამზადებაში სტაბილურობას ვერ მივაღწიეთ. ბევრმა ამათგანმა, ვინც პირველი კვარტალს დავალებას გაართვა თავი, მოადუნა ყურადღება და დავიწყდა, რომ ჯართი უწყვეტ ნაკადად უნდა მოდიოდეს და გეგმა ყოველთვიურად უნდა სრულდებოდეს. სრულიად შეუფუნარებელია ის ფაქტი, როცა ორგანიზაციები თავიანთი ვალის მოხდას კვარტალის დამლეგისთვის ცდილობენ. მაშ, შევაჩეროთ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშაობა, რომელსაც აპრილში 26 ათასი ტონა ჯართი სჭირდება? აპრილში ჩვენგან ათასობით ტონა ლითონს ელოდებიან ქუთაისის საავტომობილო, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო, „აზოვფოლადის“ და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი საწარმო. მუდამ უნდა გვახსოვდეს: წლის დასაწყისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ყველა ორგანიზაციას მოუწოდა, რომ ჯართის დამზადების გეგმები ყოველთვიურად რიტმულად შეასრულონ.

ს. ამაშუკელი.

სადღეისო თემაზე

საწარმოები ლითონს მოელიან!

ტება მიღწეულია იმათ ხარჯზე, ვინც მაღალნაყოფიერად შრომობს და ნედლეულს მომხმარებელს გეგმის გადამეტებით და რიტმულად აწვდის. სამაგიეროდ მათ ზურგს ეფარებიან მცხეთის, ადიგენის, კასპის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, თეთრი წყაროს, წალკის, წითელწყაროს, ბოლნისის, ონის, ყაზბეგის რაიონები. ამ რეგიონებმა ვერ შეასრულეს პირველი კვარტალის დავალებები და სახელმწიფოს ასობით ტონა ლითონი დააკლეს.

რა უშლით ხელს გეგმების შესრულებაში? ზემოჩამოთვლილი რაიონების პარტიული კომიტეტები ალბათ გასცემენ პასუხს ამ კითხვაზე.

ლითონის შეგროვების გეგმის შეუსრულებლობის მხრივ შარშან განსაკუთრებით გამოირჩეოდა აფხაზეთის ასსრ. წლეულს აქ მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტში

21 აპრილს აკადემიკოს ა. პ. ალექსანდროვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პლენუმი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ თვალსაჩინო მეცნიერები, ქვეყნის სახალხო მეურნეობის სპეციალისტები.

პლენუმმა განიხილა 1981 წლის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილი ნამუშევრები და შეარჩია მათგან საუკეთესონი კონკურსში მონაწილეობისათვის.

ამ ნამუშევრების სია გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნდება. (საკდესი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ 1981 წლის 20 აპრილს 68 წლისა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, გაზის მრეწველობის მინისტრი საბით ათას ძე ორუჯევი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი	სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

„სტუდენტური დღეები—81“

„წითელი შაბათი“

სტუდენტთა მონაწილეობა საკავშირო კომუნისტურ შაბათობაში უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდობის შესანიშნავი საგაზაფხულო დღესასწაულის ჩატარების პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია. რესპუბლიკის ცხრამეტივე უმაღლესი სასწავლებლის დღის განყოფილების 50 ათასი სტუდენტი გამოვიდა სამუშაოდ კვირას, 19 აპრილს. მათ დაასუფთავეს პარკები და ბაღები, კეთილმოაწყვეს და გაამწვანეს ქუჩები და მოედნები, რკინიგზის სადგურში გადმოტვირთეს ვაგონები. კომუნისტურ შაბათობაზე მათთან ერთად შრომობდნენ „სტუდენტური დღეები-81“-ის დღესასწაულზე ჩამოსული დაქმობილებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა დელეგაციები.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდობის „წითელი შაბათობის“ შედეგია 150 ათასი მანეთი, რომელიც ჩარიცხეს საკავშირო კომუნისტური შაბათობის ფონდში.

(საქინფორმი).

თბილისი

ფეხსაცმლის მოდელების სახლის კოლექტივი წარმატებით შეუდგა მიმდინარე წლის დავალებათა შესრულებას. საწარმოში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა საქართველოს მესამოცე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. მოდელების სახლის კოლექტივი 20 მაისისათვის ხუთი თვის გეგმას შეასრულებს, დღესასწაულამდე აქ შეიქმნება ფეხსაცმლის 108 ახალი მოდელი, შრომის ნაყოფიერების გაზრდიან 1,5 პროცენტით, დაზოგავენ საპირე და სასარჩულე მასალებს, სამუშაოსათვის მომზადებენ ოთხ მოწაფე მეფეხსაცმელს.

თავდადებული შრომით თავი გამოიჩინა საწარმოო-ექსპერიმენტალურ საამქროს კოლექტივმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ო. ჯალაოანია. ამ საამქროში ოცდარვა ახალი მოდელის ფეხსაცმლის სერიულ წარმოებას შეუდგნენ.

შრომაში „დაწინაურდნენ“ ა. დავითაშვილი, გ. ჯალათანი, რ. მერიშვიანი, ნ. ერმაკოვა, შ. კულუბმეგოვი და სხვები. („კომ“. კორ.).

ტყიბული

„აღმოსავლეთ-2“ შახტის კოლექტივმა ხუთწლედის პირველი დღეებიდანვე შემოქმედებითი შრომა გააჩაღა სახელმწიფო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საწარმოს კოლექტივმა ვადაზე ოთხი დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის ამოღების პირველი კვარტალის სახელმწიფო დავალება და უმატა შრომის ტემპს. მეშახტეებმა გეგმის გადამეტებით უკვე ამოიღეს და მომხმარებელს 2500 ტონა საკოქსე ქვანახშირი გაუგზავნეს. ხუთწლედის სტარტზე განსაკუთრებით კარგად იმუშავეს იმ უბნებმა, რომლებსაც დ. მაღლაფერიძე და მ. ვარდოსანიძე ხელმძღვანელობენ. დ. მაღლაფერიძის უბანმა, მაგალითად კვარტალის დავალება 17 მარტს ხოლო მ. ვარდოსანიძის უბანმა 20 მარტს შეასრულეს. სამთოველები კარგი მაჩვენებლებით ხვდებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 111-ე წლისთავს. დღეისათვის ათობით მეშახტემ შეასრულა ოთხი თვის გეგმა. (საკ. კორ.).

ბათუმი

ფუთითაც არ წყდება შრომითი რიტმი ხალხთა მეგობრობის ორდენოსან ბათუმის საზღვაო პორტში. ვ. ი. ლენინის დაბადების 111-ე წლისთავის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ათობით დოკერი დაწინაურდა. საერთო წარმატებას ბევრად უწყობს ხელს მეზღვაურთა და რკინიგზელთა შეთანხმებული მუშაობა, მარტო მიმდინარე წლის 3 თვეში ბათუმის ნავსადგურის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით 1.150 ვაგონი დაამუშავა. შრომის ტრადიციად დამკვიდრდა მეთოდი — „ხომალდი —ვაგონი“. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ საბერძნეთის ერთ-ერთი თბომავალი, რომელმაც ბათუმში 25 ათას ტონაზე მეტი ტვირთი ჩამოიტანა, ვადაზე ხუთი დღე-ღამით ადრე დაამუშავეს, ხოლო პანამის თბომავალი „ჩიფტეიკი“ 61 საათით ადრე გაგზავნეს რეისში. მთლიანად პირველ კვარტალში ვადამდე 40 ხომალდი დაამუშავეს.

(საკ. კორ.).

ვ. ი. ლენინის დაბადების 111-ე წლისთავისათვის

დიდ ბელადს მიუძღვნეს

ფურცლები რევოლუციური ტრადიციების ქრონიკებიდან

1922 წლის 3 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის რევოლუციის მეხუთე წლისთავისათვის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა გამოუშვა პირველი ლოკომოტივი, რომელიც ვ. ი. ლენინს უძღვნა. ეს ამბავი საწარმოს მუშებმა სიამაყით აცნობეს მოსკოვში ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს შემქმნელს. აი წერილის ერთი ნაწყვეტი: „დაე ამ ორთქლმავალმა მძლავრად დასტიროს მთელი დიდი საბჭოთა ფედერაციის გზები და ყველა მშრომელის ძმური ერთიანობისა და კავშირის სიმბოლოდ იქცეს“.

მალე 59 წელი შესრულდება, რაც ეს ბარათი ქვეყნის სახალხო კომისართა საბჭოს პირველმა თავმჯდომარემ — ვ. ი. ლენინმა მიიღო. ამ ხნის მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი რამ შეიცვალა. შეიცვალა ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პროფილიც. აქ ახლა ელექტროსექციებსა და მეტროს ვაგონებს არემონტებენ. საწარმოში გამოშვებული უკანასკნელი ორთქლმავალი კარგა ხანია სამუზეუმო ექსპონატად იქცა. მან ქარხნის ადმინისტრაციის შენობის წინ, კვარცხლბეკზე დაიდგა სამუდამოდ ბინა და დღეს საწარმოს დიდი წარსულის უტყვი მატიანეა.

ქარხანა მეორედ იბადება — უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს მისი გენერალური რეკონსტრუქცია. ბევრი რამ გაკეთდა: მწყობრში ჩადგა ახალი საინსტრუმენტო, მექანიკური, ელექტროსექციების, ელექტრომოწყობილობის შემკეთებელი, ურიკებისა და გოგირწყვილების საამქროები. ვამბობთ საამქროები, თორემ არც ერთი მათგანი ტოლს არ დაუდებს დამოუკიდებელ საწარმოს. ქარხნის განახლება გრძელდება.

მეთერთმეტე ხუთწლედში ელექტროვაგონშემკეთებლებმა მეტად რთული ამოცანა უნდა გადაწყვიტონ და ოთხჯერ გაზარდონ პროდუქციის გამოშვება. აქ მეტად ვეღარ იხილავთ ორთქლმავლისათვის აუცილებელი მაზუთითა და სხვა სათბობით გაჯუჯყიანებულ მიდამოებს, ნახევრად შინამრეწველურ, გამურულ საამქროებსა და მომაბეზრებელ ჭვარტლს.

დიახ, ბევრი რამ შეიცვალა, განახლდა, გადაკეთდა, მაგრამ უცვლელი დარჩა შესანიშნავი შრომითი და რევოლუციური ტრადიციები.

ელექტროვაგონშემკეთებლებმა ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით ექვსი თვით ადრე შესასრულეს მეათე ხუთწლედის გეგმა და მტკიცე ბაზა შექმნეს ახალი მიჯნების მისაღწევად. მეტად საგულისხმოა, რომ მათ მეათე ხუთწლედისათვის ნაკისრი ვალდებულების გადაჭარბებით 350 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. გვერდს ვერ ავუვლით ვერც იმ ფაქტს, რომ მკვეთრად გაზრდილი საწარმოო პროგრამის მიუხედავად მიმდინარე წლის ორი თვის დასვალების შესრულება შემკეთებლებმა სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღისათვის — 23 თებერვლისთვის უპატაკეს სამშობლოს. გრაფიკის მნიშვნელოვანი გასწრებით იმუშავეს მათ მარტშიც და საგრძნობლად უმატეს შრომის ტემპს ვ. ი. ლენინის დაბადების 111-ე წლისთავის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

სოციალისტური შეჯიბრება ახალ ფაზაში შევიდა. სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ერთნაირად იბრძვიან ყველა საამქროს, უბნისა და ბრიგადის კოლექტივები. მუშაობენ უჩამორჩენილებოდ, აგრძელებენ დიდ შრომითს და რევოლუციურ ტრადიციებს. მუშები ამ საწარმოს არ ტოვებენ. ქარხნის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია კადრების დენადობის პრობლემაზე ზრუნვა და ამაში არაფერია გასაკვირვი. საქმე ის გახლავთ, რომ აქ მოსული ახალბედა მუშა შესანიშნავ გარემოში ექცევა. საწარმოში იღვნის იმ დამრიგებელთა თაობა, რომელიც ქაოსბრიობის ნთელი მომავლისათვის იღვწოდა. მისი სახელის უკვდავსაყოფად ბევრი რამ გაკეთდა.

ლენინური გზით მივდივართ და ვაშენებთ უკეთეს მომავალს, მაღლიერი შთამომავლობა კარგს და საამაყოს ლენინის სახელს უკავშირებს ხოლმე. ასე იყო უწინ, ასეა დღესაც. დღევანდელ თაობას თითქოს სიკეთისა და გამარჯვების სიმბოლოდ აქვს დაცდილი: რაც უნდა ავაშენოთ, მით უმეტეს, თუ საჩინო და საამაყოა, გვინდა, რომ იმ ადამიანის სახელს ატარებდეს, რომლის ბრძოლამ და ბრძნულმა წინასწარმეტყველებამ გაგვიკაფა დღევანდელობის გზა.

მიმოვიხედოთ. მარტო სოფლებში უთვალავი კოლმეურნეობაა, ლენინის სახელს რომ ატარებს, ეტყობა, როცა საკოლმეურნეო ცხოვრებაზე ფიქრს იდგამდა, ღარიბ-ღატაკ გლეხობას ახალი საქმისათვის გზის მანათობელ შუქურად ლენინის სახელი ენთო.

საყოველთაოდ ცნობილ გურჯაანის რაიონში მრავალ სახელოვან მევენახეთა შორის ველისციხელებიც არიან. მარტო შარშან აქაურმა მშრომელებმა სახელმწიფო მარანში თითქმის 15 ათასი ტონა ყურძენი მიიტანეს.

ველისციხელების წლიური შემოსავალი 3 მილიონ 700 ათას მანეთს აღემატება. ეს კი ნიშნავს, რომ მათ გასულ ხუთწლეულში 17 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია შექმნეს.

სოფლის უხუცესები იხსენებენ: „როცა კოლექტივი შედგა, ბევრი არაფერი გვქონდა გასაერთიანებლად. თითქმის შიშველი ხელებით და დიდი გულით დავიწყეთ. ოცნებებით, იოცოცხლეთ, კარგა შორსაც მივდიოდით, მაგრამ ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდით ველისციხის ესოდენ გაშენებერებას და გამდიდრებას. ისე კი მომავალი გვეიმედებოდა და კოლმეურნეობასაც „ლენინის ანდერძი“ ვუწოდეთ“.

აი, თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტია ველისციხელები ლენინის ანდერძს მიჰყვებიან. ვისაც თუნდაც ერთხელ უნახავს ეს სოფელი, დაამახსოვრდებოდა იგი, როგორც თანამედროვე, კეთილმოწყობილი, ერთურთზე უკეთესი სახლებით. აქ უზერხულიც კი არის ტელევიზორებზე, თანამედროვე ავეჯზე და მსუბუქ მანქანებზე ლაპარაკი. უკვე დიდი ხანია, რაც ველისციხელთა ოჯახებს ყველა ეს სიკეთე აქვთ.

დოვლათიანი სოფელი დღევანდელობისთვის აუცილებელ ბევრ სიკეთეს იმკის. სწავლობენ „ლენინის ანდერძის“ კოლმეურნეთა შვილები. მერე ბევრი მათგანი ისევ თავის სოფელს აშენებს.

„ლენინის ანდერძის“ მილიონერ კოლმეურნეობას ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილი სამეურნეო მუშაკი თამაზ მესხი უდგას სათავეში.

აი ახლაც, როდესაც ეს სტრიქონები იწერება, თავჯდომარე ალაზნისპირა ვენახებშია ჩასული, თუმცა აქ საგაზაფხულო სამუშაოებზე უკვე გვიანია ლაპარაკი. ვაზი ისევ მოვლილი, კაცი მწკრივის თავში რომ დადგეს, ბოლოში ნემსს დაინახავს. ამბობენ, ველისციხელების ვენახებს პირველ წმლობამდე ალარაფერი უნდა. მანამდე კი ბარე ოცი დღეა. მაინც ყოველი დღე ვაზთან ტრიალებენ მევენახეები და მათთან ერთად არის თამაზ მესხიც.

ალბათ ღონიერ ვაზებს რომ უყურებენ, ის ალაღებთ.

ზოგ-ზოგი, თურმე, ამბობს: შარშან ყურძნის იმდენი მოსავალი რომ მოასკდა, წელს ნუღარ ელოდებიან, ვაზი ვეღარ აიტანსო. გურჯაანელები და, რაღა თქმა უნდა, ველისციხელებიც სხვაგვარად ფიქრობენ: მთავარი მოვლაა, თუ ვაზს ხელს არ მოაკლებ და ბოლომდე უერთგულებ, მისებრ მაღლიერი მცენარე დედამიწის ზურგზე მეორე არ არსონ.

ამ ჭეშმარიტებას კი ახალ მეზვრეებს ვეროვნულ ასწავლის.

„რთველი-81“-მდე თითქმის ნახევარი წელიწადია. ლენინისადერძელები კი მასზე ისე ლაპარაკობენ, როგორც უკვე კარს მომდგარ სიკეთეზე.

გურჯაანის რაიონის სახელოვანი მევენახეებები წლითიწლითი ეჯიბრებიან ერთიმეორეს. ველისციხელებსაც ჰყავთ ყურძნის უხვი მოსავლის ფალავნები: ამირან შოშიაშვილი, მიხეილ მექვევრიშვილი, თეიმურაზ შოშიაშვილი და სხვანი მრავალნი, რომლებსაც ყოველთვის სხვებზე მეტი ყურძენი მოჰყავთ. თავად გმირობასა და ორდენებს იხვეჭენ, ხოლო „ლენინის ანდერძს“ სახელსა და დიდებას მატებენ.

დღეს პროლეტარიატის ბელადის დაბადების დღეს ვზეიმობთ, იცით, რატომ მოეფინენ გუშინ კოლმეურნეობის ხელმძღვანელები და სპეციალისტები ვენახებს? რომ დღეს იმედიანად განაცხადონ: დავთვალიერეთ ვენახები, თითოეული ვაზი სანიმუშოდ არის მოვლილი, კვლავაც უნდა ვეცადოთ და წლევანდელი რთველიც დიდად ბარაქიანი გვიქნება, ჩვენს სოფელსაც უფრო გავალაღებთო.

ეს უკვე ლენინის ანდერძით მავალი კოლმეურნეობის ტრადიციაა.

ჯ. ჟურხული,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

75 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დაიწერა ვ. ი. ლენინის სტატია „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, მაგრამ მასში ჩამოყალიბებული დებულებები უნათებდა და უნათებს გზას სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურასა და ხელოვნებას. ვ. ი. ლენინის ეს სტატია მის სხვა თეორიულ წერილებთან ერთად მეთოდოლოგიურად აიარაღებს მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას ხელოვნებაზე, ჩვენს ლიტერატურულ-მხატვრულ კრიტიკას.

ვ. ი. ლენინის ესთეტიკურ შეხედულებათა სისტემაში ცენტრალური ადგილი უკავია მოძღვრებას ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის შესახებ. იგი ყველაზე სრულად ჩამოყალიბებულია სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, რომელიც უკვე სამი მეთხუთმეტე საუკუნეა სოციალისტური კულტურის სიამდიდე იდეურ-ესთეტიკური კომპასია. ეს სტატია დაიწერა რუსეთის პირველი რევოლუციის აღმავლობის პერიოდში, როდესაც ახალ ვითარებაში საჭირო იყო ბეჭდვითი სიტყვის, პუბლიცისტიკის, მხატვრული ლიტერატურის, ხელოვნების როგორც ცხოვრების შეცნობისა და რევოლუციური გარდაქმნის მძლავრი საშუალების ადგილისა და როლის გარკვევა, პროლეტარიატის ინტერესების სამსახურში მათი ჩაყენება.

რუსეთის მუშათა კლასის ავანგარდი —პარტია უკვე შექმნილი იყო. მას ჰქონდა თავისი პროგრამა და წესდება. რევოლუციის მოახლოებასთან ერთად იგრძნობოდა რეაქციის გააქტიურება. აუცილებელი იყო მაქსიმალური ორგანიზებულობა და დისციპლინა, პარტიის რიგების ერთიანობისა და შეკავშირების უზრუნველყოფა. სწორედ ამ დროს რუსმა მენშევიკებმა პარტიული ინტელიგენციისთვის განსაკუთრებული პირობების შექმნა მოითხოვეს. რსდმპ (ბ) II ყრილობის შემდეგ მენშევიკების ბრძოლა პარტიული ლიტერატორების პრივილეგიური მდგომარეობისათვის კიდევ უფრო გაძლიერდა. ისინი სულ უფრო აღრმავებდნენ გათიშვას, მთლიანად ხელთ იგდეს პარტიის ცენტრალური ორგანო, თავიანთ სიტყვიერ და ბეჭდვითს გამოსვლებში უარყოფდნენ ლიტერატურის პარტიულ ხელმძღვანელობის თეზისს, ქადაგებდნენ ყოველგვარ „უპარტიობას“, „ზეკლასობრიობას“, „ზეპარტიულობას“, შემოქმედების „აბსოლუტურ თავისუფლებას“ და ა. შ. ამ ვითარებაში საჭირო გახდა ახალ ეტაპზე პარტიის ლიტერატურული პოლიტიკის პრინციპების შემუშავება, პარტიის იდეოლოგიური პოზიციების სიწმინდის დაცვა, ინტელიგენციის რიგებში ფართოდ გავრცელებული ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმისა და „ბატონაკაცური ანარქიზმის“ მაცდური ფესვების ამოძირკვა. ამ კეთილშობილურ ამოცანას ხელი მოჰკიდა ვ. ი. ლენინმა. 1905 წლის ნოემბრის დამდეგს იგი ემიგრაციიდან პეტერბურგს ჩამოვიდა და იმთავითვე დიდი ორგანიზატორული მოღვაწეობა გაშალა: ხელმძღვანელობდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობას და ყოველდღიურ ლეგალურ ბოლშევიკურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნს“.

სწორედ „ნოვაია ჟიზნში“ დაისტამბა ვ. ი. ლენინის გენიალური სტატია „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ამ სტატიისა, რომელიც ნახევარი ნაბეჭდი თაბახიც კი არ არის, ის გახლავთ, რომ უაღრესად ფართოდ აშუქებს თემას. მასში ლაკონურობა შეზამთხულია აზრების გენიალურ სიღრმესთან, უდიდესი შორსმჭვრეტელობით განსაზღვრულია ახალ ისტორიულ პირობებში პარტიული პრესის, პარტიული პუბლიცისტიკის, მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების ამოცანები.

ვ. ი. ლენინისთვის მხატვრული ლიტერატურა და ხელოვნება ყოველთვის იყო ერთდროულად ცხოვრების სახელმძღვანელო, კლასობრივი ბრძოლის იარაღი, მშრომელი მასების აღზრდის საშუალება, ღრმა ესთეტიკური ტკბობის, სიხარულის, ქმაყოფილების წყარო.

ვ. ი. ლენინმა სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ პირველმა მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკაში ჩამოაყალიბა სოციალისტური მხატვრული ლიტერატურის (ხელოვნების) შექმნისა და განვითარების ძირითადი პრინციპი—პარტიულობის პრინციპი, რომლის დედაარსი ის არის, რომ მხატვრული ლიტერატურა (ხელოვნება) უანგარო უნდა ემსახურებოდეს მუშათა კლასის, მთელი ხალხის საქმეს. ვ. ი. ლენინი წერდა: „ლიტერატურა პარტიული უნდა გახდეს. წინააღმდეგ ბურჟუაზიული ზნისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული სამეწარმეო, ჩარჩული ბეჭდვითი სიტყვისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული ლიტერატურული კარიერიზმისა და ინდივიდუალიზმისა, „ბატონკაცური ანარქიზმისა“ და მოგებისადმი მისწრაფებისა,—სოციალისტურმა პროლეტარიატმა უნდა წამოაყენეს **პარტიული ლიტერატურის** პრინციპი, განავითაროს ეს პრინციპი და განახორციელოს იგი რაც შეიძლება სრული და მთლიანი სახით“.

რა არის ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი, მისი დედაარსი? ვ. ი. ლენინი განმარტავდა, რომ პარტიულობის პრინციპი მარტო ის კი არ არის, რომ პროლეტარიატისათვის ლიტერატურული საქმე არ შეიძლება პირთა ან ჯგუფთა მოგების იარაღი, საერთო პროლეტარული საქმისაგან დამოუკიდებელი ინდივიდუალური საქმე იყოს, „ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს საერთო პროლეტარული საქმის ნაწილი“.

ვ. ი. ლენინის სტატიის პათოსი ის არის, რომ მაშინ ჩამოყალიბებულია ლიტერატურისა და ხელოვნების როგორც საერთო პროლეტარული საქმის ნაწილის პრინციპი.

სამწუხაროდ, დღესაც სტატიის ეს ერთ-ერთი მთავარი აზრი ზოგჯერ მეორე პლანზე იხსენიება. ეს კი იწვევს ხელოვნების სპეციფიკის ისეთ აბსოლუტიზებას, რომელსაც საბოლოო ჯამში ხელოვნების სრული ავტონომიურობის აღიარებამდე მივყავართ.

ვ. ი. ლენინის სტატიის დედაარსი ის გახლავთ, რომ ხელოვნება მეიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული საზოგადოების პრაქტიკულ მოთხოვნილებებთან, საერთო-სახალხო ინტერესებთან, რათა იგი დაუკავშიროდეს ცხოვრებას, მუშათა კლასის, პროლეტარიატის, მთელი ხალხის ბრძოლას, მის მისწრაფებებს. ამრიგად, ხალხის ინტერესების შეგნებული გამოხატვა, ხალხისადმი სამსახური საბჭოთა მხატვრის მთავარი მოწოდებაა.

კომუნისტური პარტიულობა სოციალისტური ხელოვნების ფუძემდებლური პრინციპია. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ლიტერატურა უნდა გახდეს საერთო-პროლეტარული საქმის ნაწილი. იგი გამომდინარეობდა იქიდან, რომ სოციალისტური ხელოვნება განუყოფელია მუშათა კლასისაგან, და თვლიდა, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების პარტიული ხელმძღვანელობა პარტიული მუშაობის ორგანული ნაწილია.

სკკპ ყოველთვის განუხრელად და თანმიმდევრულად ახორციელებდა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებში მეცნიერულ, მარქსისტულ-ლენინურ ხაზს, მუდამ იცავდა და იცავს მხატვრულ შემოქმედებაში მოწინავე, მეცნიერული მსოფლმხედველობის მნიშვნელობას, ხელოვნებისა და ლიტერატურის ხალხის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობას. ხელოვნებისა და ლიტერატურის პარტიულობისა და ხალხურობის ფუძემდებლურმა ლენინურმა იდეებმა, რომლებიც ჩამოყალიბებულია ჩვენი პარტიის ბელადისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის მდიდარ ესთეტიკურ მემკვიდრეობაში ბრწყინვალე დასაბუთება პოვეს სკკპ ცნობილ დოკუმენტებში, დადგენილებებში იდეოლოგიურ საკითხებზე, სკკპ XXIV, XXV და XXVI ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებებში, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში, მის შესანიშნავ ტრილოგიაში „მცირე მიწა“, „აღორძინება“, „ყამირი“ და სხვა შრომებში.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა მთავარი შინაარსი გახდა თანამედროვეობა, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის პრობლემები. ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია განუხრელად ხელმძღვანელობს ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპებით, დიდ ლენინის შთამაგონებელ ციტატებით იმის შესახებ, რომ ლიტერატურა დაბადებულია ხალხისა და ხალხისთვის, რომ ლიტერატურა ხალხის ერთ-ერთ საერთო-პროლეტარული საქმის ნაწილი, რომ იგი თავისი ულმესი ფესვებით მშრომელი მასების ფენების შუაგულს უნდა აღმოდეს, გასაგები და საყვარელი იყოს მასებისათვის, აერთიანებდეს მათს გრძნობებს, აზრსა და რწმენას, სულიერად ამაღლებდეს მათ.

სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ რევოლუციური პროლეტარიატი შექმნის ისეთ ლიტერატურასა და ხელოვნებას, რომელიც სამსახურს გაუწევს არა მოწყენილ და სიმსუქნის ქონით შეზრდილ „ზედა ფენის ათეულ ათასებს“, არამედ მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომელნიც, „ქვეყნის უკეთესო ნაწილს, მის ძალას, მომავალს შეადგენენ“. დიდი ბელადის ეს წინასწარმეტყველება სრულდება. ლიტერატურა და ხელოვნება ჩვენში გადაიქცა უდიდეს ძალად კომუნისტური იდეალების სულისკვეთებით საბჭოთა ადამიანის აღზრდაში, მისი ზნეობრივი სახის, აზრთა და გრძნობათა მთელი წყობის ჩამოყალიბებაში.

ვ. ი. ლენინის ესთეტიკური მემკვიდრეობა, მისი დებულებანი ხელოვნების საკითხებზე ფასდაუდებელი წვლილია მსოფლიო

ხელოვნების ლენინური პრინციპები

ოთხი თვის გეგმა — ბელადის დაბადების დღისათვის

მკერავი პირობას ასრულებს

ალვანელ ქალიშვილს ცარო კახოიძეს პირველად არც კი უფიქრია, თუ მისი ნამდვილი შრომითი ბიოგრაფია თბილისში დაიწყებოდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა კოპერაციულ ტექნიკუმში განაგრძო, იგი დაასრულა თუ არა, ცოტა ხანს რაიონში იმუშავა, მერე კი ისე მოხდა, რომ თავისი ბედი თბილისელ ვაჟს დაუკავშირა და საცხოვრებლად ქალაქში გადმოვიდა. ხელსაქმე თავიდანვე ემარჯვებოდა.

გამიგონია, წინათ, თურმე, საპატარძლოს რომ ირჩევდნენ, კერვა თუ ეხერხებოო, შუამავალნი პირველად ამას იკითხავდნენ. კერვის დაუფლება ძველადაც და ახლაც ქალს ამშვენებს და ამდიდრებს, ცაროს ამ საქმისათვის რომ გული არ დაედო, ვინ იცის, სხვა რომელი პროფესიის დაუფლება მოუტანდა სახელსა და აღიარებას.

თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ნადიკვარში“ სხვადასხვა დასახელების ქალის ტრიკოტაჟის ნაწარმი იკერება, თუმცა საწარმო მნიშვნელოვან რეკონსტრუქციას მოითხოვს, მისი კოლექტივი მაინც ყოველ ღონეს ხმარობს სახელმწიფო გეგმების პირნათლად შესრულებისათვის. მან მეათე ხუთწლედი ყველა ეკონომიკური მაჩვენებლით მაისის თვეში შეასრულა და ახალი შრომითი აქტიურობით შეიჭედა მეთერთმეტე ხუთწლედის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. მომდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა საწარმომ გადაჭარბებით შეასრულა.

— ჩვენი, კოლექტივის წევრს სკკპ XXVI ყრილობის დელეგატს ც. კახოიძეს აბა ხომ არ შეეძლებოდა, — ღიმილით თქვა ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა ანა ქაჯაიამ.

...ცაროს ყრილობაზე გამგზავრების წინ საწარმოში მომიხდა მისვლა, კარგად მახსოვს, ფაბრიკის დირექტორი ე. მამაგიშვილი და საამქროს უფროსი გ. ზეიკიძე როგორ გულთბილად ლაპარაკობდნენ თანამშრომელზე, მოწინავე მკერავის კეთილ საქმეებსა და მის კარგ ქალობაზე. მარტო კარგი სპეციალისტი კი არა, დიდებული ადამიანიაო, გვეთხრეს ფაბრიკაში.

ცაროო კახოიძე თხუთმეტი წელია ამ საწარმოში შრომობს, ნაყოფიერი გარჯისათვის 1978 წელს შრომითი დიდების ორდენით დაჯილდოვეს. ახლა იგი სამკერვალო საქმის თვრამეტ ოპერაციას არის დაუფლებული, ცვლის დავალებებს მუდამ დიდი გადაჭარბებით ასრულებს, მეათე ხუთწლედი მან ჯერ კიდევ 1979 წლის მაისში შეასრულა. გამრჯე, ინიციატივიანი მუშაკი სამკერვალო საამქროს კომუნისტებმა თავიანთ ხელმძღვანელად აირჩიეს. ეს პარტიული ორგანიზაცია მრავალი კარგი საქმის თაოსანია, აქ კომუნისტები მუდამ შრომის ავანგარდში არიან, ცაროო კი პარტიის რაიონული სარეკვიზიო კომისიის წევრიც გახლავთ.

აბა რა მკერავია ის ქალი, რომელიც თავის ცოდნასა და გამოცდილებას სხვას არ გადასცემს, ამიტომაც არის, რომ მისი აღზრდილები ბლომად არიან საამქროში. ცაროო ჩინებული დამრიგებელია: მუშაობის პირიდან უკვე 150 ახალგაზრდას შეასწავლა მკერავის პროფესია.

სხვები სხვებია, მაგრამ ერთადერთი შვილი მზია კერვაში ისე დაოსტატა, რომ ამბობენ, მალე დედას აჯობებსო. თუ გავიხსენებთ ქართულ ანდაზას „კვიცი გვარზე ხტისო“, ალბათ, ასეც იქნება.

— ყველაზე საინტერესო დღე ჩემს ცხოვრებაში? აბა, რა დამავიწყებს სკკპ XXVI ყრილობის დღეებს, — მეუბნება ც. კახოიძე, — ქვეყნის ღირსეული ადამიანების გვერდით მეც ვიჯავი და ვისმენდი ჩვენი პარტიის ლიდერის ლ. ი. ბრეჟნევის ღრმაშინაარსიან მოხსენებას, რომელიც მშვიდობიან ცხოვრებას და ჩვენი ხალხის უკეთეს მერმისს გვისახავს. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება ქალთა შრომის შემსუბუქებას, მათი კეთილდღეობისათვის ზრუნვას ეძღვნება. ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ქალმა შეძლოს იყოს ღირსეული დედა, ოჯახის დისახლისიც და საზოგადოების აქტიური წევრიც. ყრილობიდან რომ დავბრუნდი, ჩემი შთაბეჭდილებები მეგობრებს გავუზიარე, ფართოდ ჩავებით საბჭოთა საქართველოს მესამოცე წლისთავის და დიდი ბელადის იუბილეს ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ფაბრიკის პარტიულ კრებაზე სკკპ ყრილობის დელეგატმა ც. კახოიძემ წინადადება გამოთქვა, ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 111-ე წლისთავისათვის — 22 აპრილისათვის სამკერვალო საამქროს კოლექტივის ოთხი თვის გეგმა შეესრულებინა. მეგობრებმა მას მხარი დაუჭირეს და გულმოდგინე შრომის მერე, დღევანდელი ღირსშესანიშნავი, ლამაზი ზეიმისათვის ეს დაპირება უკვე საქმედ აქციეს.

ლ. ჟინჭლაძე.

სურათზე: ცარო კახოიძე.
საქინფორმის ფოტო.

ილიჩის ანდერძით მავალნი

ყველაზე ადამიანური ადამიანი! ასე იცნობენ ლენინს მთელ პლანეტაზე. მისი ხსოვნა სამარადჟამოდ დარჩა, როგორც სახე იმ ადამიანისა, რომელიც ადამიანობის ნათელი მომავლისათვის იღვწოდა. მისი სახელის უკვდავსაყოფად ბევრი რამ გაკეთდა.

ლენინური გზით მივდივართ და ვაშენებთ უკეთეს მომავალს, მადლიერი შთამომავლობა კარგს და საამაყოს ლენინის სახელს უკავშირებს ხოლმე. ასე იყო უწინ, ასეა დღესაც. დღევანდელ თაობას თითქოს სიკეთისა და გამარჯვების სიმბოლოდ აქვს დაცდილი: რაც უნდა ავაშენოთ, მით უმეტეს, თუ საჩინო და საამაყოა, გვინდა, რომ იმ ადამიანის სახელს ატარებდეს, რომლის ბრძოლამ და ბრძნულმა წინასწარმეტყველებამ გაგვიკაფა დღევანდელობის გზა.

მიმოვიხედოთ. მარტო სოფლებში უთვალავი კოლმეურნეობაა, ლენინის სახელს რომ ატარებს, ეტყობა, როცა საკოლმეურნეო ცხოვრებაზე ფიქრს იდგამდა, ღარიბ-ღატაკ გლეხობას ახალი საქმისათვის გზის მანათობელ შუქურად ლენინის სახელი ენთო.

საყოველთაოდ ცნობილ გურჯაანის რაიონში მრავალ სახელოვან მევენახეთა შორის ველისციხელებიც არიან. მარტო შარშან აქაურმა მშრომელებმა სახელმწიფო მარანში თითქმის 15 ათასი ტონა ყურძენი მიიტანეს.

ველისციხელების წლიური შემოსავალი 3 მილიონ 700 ათას მანეთს აღემატება. ეს კი ნიშნავს, რომ მათ გასულ ხუთწლეულში 17 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია შექმნეს.

სოფლის უხუცესები იხსენებენ: „როცა კოლექტივი შედგა, ბევრი არაფერი გვქონდა გასაერთიანებლად. თითქმის შიშველი ხელებით და დიდი გულით დავიწყეთ. ოცნებებით, იოცოცხლეთ, კარგა შორსაც მივდიოდით, მაგრამ ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდით ველისციხის ესოდენ გაშენებერებას და გამდიდრებას. ისე კი მომავალი გვეიმედებოდა და კოლმეურნეობასაც „ლენინის ანდერძი“ ვუწოდეთ“.

აი, თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტია ველისციხელები ლენინის ანდერძს მიჰყვებიან. ვისაც თუნდაც ერთხელ უნახავს ეს სოფელი, დაამახსოვრდებოდა იგი, როგორც თანამედროვე, კეთილმოწყობილი, ერთურთზე უკეთესი სახლებით. აქ უზერხულიც კი არის ტელევიზორებზე, თანამედროვე ავეჯზე და მსუბუქ მანქანებზე ლაპარაკი. უკვე დიდი ხანია, რაც ველისციხელთა ოჯახებს ყველა ეს სიკეთე აქვთ.

დოვლათიანი სოფელი დღევანდელობისთვის აუცილებელ ბევრ სიკეთეს იმკის. სწავლობენ „ლენინის ანდერძის“ კოლმეურნეთა შვილები. მერე ბევრი მათგანი ისევ თავის სოფელს აშენებს.

„ლენინის ანდერძის“ მილიონერ კოლმეურნეობას ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილი სამეურნეო მუშაკი თამაზ მესხი უდგას სათავეში.

აი ახლაც, როდესაც ეს სტრიქონები იწერება, თავჯდომარე ალაზნისპირა ვენახებშია ჩასული, თუმცა აქ საგაზაფხულო სამუშაოებზე უკვე გვიანია ლაპარაკი. ვაზი ისევ მოვლილი, კაცი მწკრივის თავში რომ დადგეს, ბოლოში ნემსს დაინახავს. ამბობენ, ველისციხელების ვენახებს პირველ წმლობამდე ალარაფერი უნდა. მანამდე კი ბარე ოცი დღეა. მაინც ყოველი დღე ვაზთან ტრიალებენ მევენახეები და მათთან ერთად არის თამაზ მესხიც.

ალბათ ღონიერ ვაზებს რომ უყურებენ, ის ალაღებთ.

ზოგ-ზოგი, თურმე, ამბობს: შარშან ყურძნის იმდენი მოსავალი რომ მოასკდა, წელს ნუღარ ელოდებიან, ვაზი ვეღარ აიტანსო. გურჯაანელები და, რაღა თქმა უნდა, ველისციხელებიც სხვაგვარად ფიქრობენ: მთავარი მოვლაა, თუ ვაზს ხელს არ მოაკლებ და ბოლომდე უერთგულებ, მისებრ მაღლიერი მცენარე დედამიწის ზურგზე მეორე არ არსონ.

ამ ჭეშმარიტებას კი ახალ მეზვრეებს ვეროვნულ ასწავლის.

„რთველი-81“-მდე თითქმის ნახევარი წელიწადია. ლენინისადერძელები კი მასზე ისე ლაპარაკობენ, როგორც უკვე კარს მომდგარ სიკეთეზე.

გურჯაანის რაიონის სახელოვანი მევენახეებები წლითიწლითი ეჯიბრებიან ერთიმეორეს. ველისციხელებსაც ჰყავთ ყურძნის უხვი მოსავლის ფალავნები: ამირან შოშიაშვილი, მიხეილ მექვევრიშვილი, თეიმურაზ შოშიაშვილი და სხვანი მრავალნი, რომლებსაც ყოველთვის სხვებზე მეტი ყურძენი მოჰყავთ. თავად გმირობასა და ორდენებს იხვეჭენ, ხოლო „ლენინის ანდერძს“ სახელსა და დიდებას მატებენ.

დღეს პროლეტარიატის ბელადის დაბადების დღეს ვზეიმობთ, იცით, რატომ მოეფინენ გუშინ კოლმეურნეობის ხელმძღვანელები და სპეციალისტები ვენახებს? რომ დღეს იმედიანად განაცხადონ: დავთვალიერეთ ვენახები, თითოეული ვაზი სანიმუშოდ არის მოვლილი, კვლავაც უნდა ვეცადოთ და წლევანდელი რთველიც დიდად ბარაქიანი გვიქნება, ჩვენს სოფელსაც უფრო გავალაღებთო.

ეს უკვე ლენინის ანდერძით მავალი კოლმეურნეობის ტრადიციაა.

ჯ. ჟურხული,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ᲛᲙᲔᲠᲐᲕᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ

ალვანელ ქალიშვილს ცარო კახოიძეს პირველად არც კი უფიქრია, თუ მისი ნამდვილი შრომითი ბიოგრაფია თბილისში დაიწყებოდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა კოპერაციულ ტექნიკუმში განაგრძო, იგი დაასრულა თუ არა, ცოტა ხანს რაიონში იმუშავა, მერე კი ისე მოხდა, რომ თავისი ბედი თბილისელ ვაჟს დაუკავშირა და

გამოთხოვება

21 აპრილს თბილისის საზოგადოებრიობამ მშობელ მიწას მიაბარა თვალსაჩინო საბჭოთა მათემატიკოსი მეცნიერის, სოციალისტური შრომის გმირის აკადემიკოს კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მარჯანიშვილის ნეშტი, რომელიც მოსკოვიდან ჩამოასვენეს.

...საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტი. მაღალ კვარცხლებეკზე დასვენებულია ქართული მიწის ყვავილებით შემკული ურნა პატრიოტი მეცნიერის ნეშტით... გასვენებულთან გამოსათხოვრად მოვიდნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწენი, შესანიშნავი სწავლულის მეგობრები და მოწაფეები, რომლის მთელი სიცოცხლე და მეცნიერული მოღვაწეობა მშობელ ხალხს, საყვარელ სამშობლოს მიეძღვნა.

კვარცხლებეკს ამშვენებს ორგანიზაციებისა და სამეცნიერო დაწესებულებებისაგან მიძღვნილი გვირგვინები. ატლასის ბალიშებზე დაბნეულია ლენინის ორდენი და სოციალისტური შრომის გმირის „ოქროს ვარსკვლავის“ medali, სხვა ჯილდოები, რომლებითაც სამშობლომ დაუფასა ამაგი მეცნიერს.

კომუნისტური პარტიის ერთგულ შვილთან, მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწესთან გამოსათხოვრად მოვიდნენ ამხანაგები ე. შევარდნაძე, პ. გილაშვილი, გ. კოლბინი, ო. კულიშვილი, თ. მენთეშაშვილი, ჯ. პატიაშვილი, ო. ჩერქეზიანი, ზ. ჩხეიძე, ნ. ჭითანავა, ს. ხაბეიშვილი, თ. მოსაშვილი, ი. ორჯონიკიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ე. სეხნიაშვილი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ვ. კოტელნიკოვი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. ხარაძე.

მრავალი თბილისელი მიჰყვებოდა პროცესიას, რომელიც ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონისაკენ გაემართა.

მათემატიკის ინსტიტუტისა და პანთეონში გამართულ სამგლოვიარო მიტინგებზე გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. ხარაძე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. ხაზანოვი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. კუპრაძე, აკადემიკოსი ს. ნიკოლსკი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მ. მინეევი, ახალგაზრდა მეცნიერი თ. ვეფხვაძე, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. ალექსიძე და სხვები, რომლებმაც თქვეს, რომ კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მარჯანიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა სამამულო მეცნიერებას, კერძოდ, მას თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის რიცხვთა ანალიზური თეორიის გაღვივთარებაში. ამასთანავე სწავლული მუდამ დიდ ყურადღებას უთმობდა გამოყენებითი მათემატიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. იგი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ და აღმზრდელობითს მუშაობას სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. მის მოწაფეებსა და მიმდევრებს შორის ბევრი ცნობილი საბჭოთა მეცნიერია.

სამგლოვიარო ჰანგების ხმაზე ურნა კონსტანტინე მარჯანიშვილის ნეშტით მიწაში ჩაასვენეს. ჩვენი ხალხის სასიქადულო მამულიშვილთა სამარადისო სავანეში გაჩნდა კიდევ ერთი წმიდათაწმიდა საფლავი — საფლავი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მარჯანიშვილისა, რომლის სახელი და მეცნიერული მემკვიდრეობა უკვდავია.

...საფლავზე ყვავილების მთა აღიმართა. (საქინფორმი).

მიფრინავს „კოსმოს-1266“

1981 წლის 21 აპრილს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1266“.

თქვამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკადესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო

დედაქალაქის ჟურნალი

ცხოვრება

21 აპრილი

ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს

ეძღვნება დიდი ბელადის დაბადების 111-ე წლისთავს

● პოლონეთი

ვარშავა. „ლენინი — იდეა და საქმე“ — ასე ეწოდება წამყვან პოლონელ მხატვარ-გრაფიკოსთა ნაწარმოებების გამოფენას, რომელიც „მოსფილო პოლეტარიატის ბელადის დაბადების 111-ე წლისთავთან დაკავშირებით გაიხსნა ქალაქ კრაკოვის ვ. ი. ლენინის მუზეუმში. ტრადიციული ლენინური დღეების დასაწყისისთვის, რომლებიც უკვე მრავალი წელია იმართება პოლონეთის ამ რაიონში, სადაც ერთ დროს ცხოვრობდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, მუზეუმის მუშაკებმა ექსპოზიცია მნიშვნელოვნად გაამდიდრეს ახალი დოკუმენტებით. ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებულ ღონისძიებათა პროგრამაში შეტანილია აგრეთვე გამოფენა „ლენინი — ხალხურ შემოქმედებაში“. მისი სტენდები მოწყობილია მუზეუმის პოროონინოს ფილიალში. გარდა ამისა, დასახელებია, მუზეუმში გაიმართოს საუბრების ციკლი პოლონეთში ბელადის ყოფნის შესახებ, კინოფილმების ჩვენება.

● შრი ლანკა

კოლომბო. საბჭოთა და ლანკის დროშებით, საბჭოთა კავშირისა და შრი ლანკის ხალხთა მეგობრობის აღსანიშნავი ლოზუნგებით არის მორთული დედაქალაქის თეატრი „რაშაკრიშნა ჰოლი“. აქ გაიმართა ვ. ი. ლენინის დაბადების 111-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მეგობრობის მიტინგი.

თანამედროვე ეპოქის უდიდესი გენიოსი უწოდა საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელს პარლამენტის საქმეთა მინისტრმა ვინსენტ ჰერერამ, რომელიც მიტინგზე გამოვიდა. ლენინის წყალობით ჩამორჩენილმა რუსეთმა სიღატაკიდან ფეხი დადგა კოსმოსში, ხაზი გაუსვა მან.

დიდი ლენინის ანდერძის ღირსეული ხორცშესხმა უწოდა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს შრი ლანკის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ პიტერ კეინემანმა.

● ეკვადორი

კიტო. წმიდათაწმიდად იცავენ რა ვ. ი. ლენინის ანდერძს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით ახორციელებენ მშვიდობის ლენინურ პოლიტიკას, რომლის მიზანია ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილება. ამის მკაფიო დადასტურებაა ახლახან გამართული სკკპ XXVI ყრილობა, განაცხადა ეკვადორის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა პედრო საადმ. იგი გამოვიდა კიტოში გამართულ საზეიმო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 111-ე წლისთავს და რომელიც მოაწყვეს ეკვადორის კულტურის სახლმა და ეკვადორ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტმა.

ლენინის ნაშრომები დღესაც აქტუალურია, აღნიშნა ეკვადორის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა. ისინი ნამდვილ კომუნისტებს ეხმარებიან ყველა ჯურის ოპორტუნისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეწვივნენ საელჩოს

21 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები ვ. ა. კარლოვი, ვ. კ. მესიაცი, ზ. ნ. ნურიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ო. ა. ჩუკანოვი ეწვივნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობის აქტიური მონაწილის, საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობრის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გერჰარდ გრიუნებერგის უდროოდ გარდაცვალებასთან დაკავშირებით და ხელი მოაწერეს სამძიმრის წიგნში. (საკადესი).

დიქტატის პოლიტიკის წინააღმდეგ

ლუანდა. ანგოლის სახალხო რესპუბლიკა უარყოფს ამერიკის შეერთებული შტატების ცდებს წინასწარი პოლიტიკური პირობები წამოაყენოს ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისათვის. როგორც ანგოლის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ეს თვალსაზრისი ანგოლის შინაგან საქმეთა მინისტრმა პაულუ ტეიშეირა ყორეიმ აცნობა აფრიკის საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს ჩ. კროკერს, რომელიც აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში მოგზაურობს.

ბრაზავილი. კონგოს სახალხო რესპუბლიკაში ჩ. კროკერის ყოფნასთან დაკავშირებით აფრიკაში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა მკვეთრად დაგმო კონგოს გაზეთმა „მეეტმ“.

კონგო, რომელიც თანამიმდევრულად ახორციელებს ანტიიმპერიალისტურ კურსს, აღნიშნავს გაზეთი, მტკიცედ უჭერს მხარს კონტინენტზე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს. სავსებით ცხადია, რომ თეორი სახლის ახლანდელი ადმინისტრაციის აფრიკული პოლიტიკა მიუღებელია განთავისუფლებული სახელმწიფოებისათვის, როდგანაც მათგან მოითხოვს უარი თქვან თავიანთ პრინციპებსა და რწმენაზე.

სესია გაიხსნა

ჰავანა. ჰავანის კონგრესების სასახლეში გაიხსნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის სესია, რომელშიც მონაწილეობენ 60-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის დელეგაცია. სესიის დღის წესრიგშია მშვიდობისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, გამალებული შეიარაღებისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად ერთობლივი მოქმედებების შემდგომი გაფართოება. სესია განიხილავს აგრეთვე ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის აუზში შექმნილ ვითარებას.

ფაქტები □ მოვლენები □ კომენტარი □ გამოხმაურება

ამას თვითონ ადიარებენ

სახიფათო ბირთვული თამაში

ამერიკელები თეთრი სახლის პოლიტიკის შესახებ

სან-ფრანცისკო. სიეტლში (ვაშინგტონის შტატი) ბირთვული გაბარაჯების პრობლემებზე გამართული კონფერენციის მონაწილეებმა სახტიკად დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, რომელიც ბირთვული არსენალების გაძლიერების პოლიტიკას ახორციელებს. „სოციალური პასუხისმგებლობისათვის მებრძოლი ექიმების“ ორგანიზაციის ინიციატივით ამ ფორუმზე თავი მოიყარა ქვეყნის 1.200-ზე მეტმა მეცნიერმა, ექიმმა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ საჭიროა სასწრაფო ღონისძიებათა განხორციელება, გამალებული ბირთვული შეიარაღების შესაჩერებლად და კაცობრიობის საყოველთაო კატასტროფის თავიდან ასაცილებლად.

ბირთვულ ომს კატასტროფული შედეგები მოჰყვება მსოფლიო მოსახლეობისათვის, თქვა ნიუ-იორკის სიტი-კოლეჯის მედიცინის პროფესორმა ჯ. ჰეიგერმა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 20 მეგატონა სიმძლავრის მარტო ერთი ბომბის აფეთქება საკმარისია სიეტლის მოსახლეობის 90 პროცენტის მყისიერი მოსპობისათვის.

ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა, ჰარვადის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯ. ჰელბრეიტმა აღნიშნა, რომ კოლოსალურ ეკონომიკურ და სოციალურ დანაკარგებს მოუტანს ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობას მასობრივი მოსპობის იარაღის არსენალების შეუნელებელი გაძლიერება.

შეიარაღებისადმი კონტროლისა და განიარაღების საკანტოს დირექტორის ყოფილმა მოადგილემ ადმირალმა ჯ. ლემ განაცხადა, რომ ბირთვული ომისათვის მზადება კი არა, მისი თავიდან აცილება უნდა იყოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის უპირველესი ამოცანა. როგორც მან თქვა, რაც შეიძლება სწრაფად უნდა განახლდეს მოლაპარაკება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე.

პრესა ადასტურებს

უკანონო პრეტენზიები

ვაშინგტონი აქეზებს სომალის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას

ადის-აბება. სომალის ახლანდელმა ლიდერებმა, რომლებიც კვლავ უყენებენ უკანონო ტერიტორიულ პრეტენზიებს მეზობელ აფრიკულ სახელმწიფოებს ეგრეთ წოდებული „დიდი სომალის“ შექმნის ექსპანსიონისტური გეგმების ფარგლებში, ქვეყანას თავს დაატეხეს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისები, წერს ეთიოპიის გაზეთი „ადის ზემენი“.

ქვეყნის ხალხისათვის ახალი სიძნელეები მოაქვს სომალის რეჟიმს, რომელიც აპირებს გაზარდოს შეიარაღებული ძალები, აშკარა ინტერვენცია დაიწყოს ეთიოპიის წინააღმდეგ, აღნიშნავს გაზეთი. მოგადიშოს ხელისუფლებამ, რომელიც ცდილობენ ჩაახშონ მოსახლეობის უკმაყოფილება, ქვეყანაში სასაყო წესები შემოიღეს. აპატიმრებენ ყველას, ვინც არ ეთანხმება ახლანდელ ოფიციალურ კურსს.

აქტიურად აქეზებენ სომალის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას საერთაშორისო იმპერიალიზმი და რეაქცია. ასეთი თანამშრომლობის საიმედო მაგალითია სომალიისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის, რომლის მიხედვითაც პენტაგონმა მიიღო უფლება გამოიყენოს სომალის ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ბაზები და ამის სანაცვლოდ მიაწოდოს მას თანამედროვე იარაღი. ამ საშიში გარიგების მიზანია, ხაზს უსვამს „ადის ზემენი“, განამტკიცოს აგრესიული რეჟიმის სამხედრო პოტენციალი, რომელსაც იყენებენ მეზობელი სახელმწიფოების წინააღმდეგ შეიარაღებული პროვოკაციებისათვის, ქვეყნის შიგნით ოპოზიციის ჩახშობისათვის.

ჰეიგის კვალდაკვალ

კუვეიტი. საუდის არაბეთში სამი დღის ოფიციალურ ვიზიტად ჩამოსული დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მ. ტეტჩერი შეხვდა მეფე ჰალედს. საუდის არაბეთის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების მთავარი თემა, როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, არის ეგრეთ წოდებული „ნავთობის საბადოების უშიშროების“ უზრუნველყოფის საკითხი. ამ ფორმულით შეერთებული შტატები, ინგლისი და მათი მთელი რიგი ნატოელი მოკავშირეები აღნიშნავენ ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ სპარსეთის ყურის ზონაში დასავლეთის სახელმწიფოების სამხედრო ყოფნის გაძლიერებას.

სად რა მოხდა

□ ტერორისტული აქტები

პანამა. აქ ააფეთქეს პანამის სტუდენტთა ფედერაციის შენობა. როგორც გაზეთი „პრენსა“ იუწყება, ამ დანაშაულის პასუხისმგებლობა იკისრა ტერორისტულმა ორგანიზაციამ, რომელსაც ეწოდება „მოძრაობა ტორიხოსის მოსპობისათვის“. უცნობმა პირმა, რომელმაც დარეკა რედაქციაში, განაცხადა, რომ ამ დაჯგუფებას დაგეგმილი აქვს პანამის ეროვნული გვარდიის მთავარსარდლის ომარ ტორიხოსის ფიზიკური ლიკვიდაცია, აგრეთვე ახალი ტერორისტული აქტები.

●

□ სტიქია მძვინვარებს

დელი. ქარიშხალი „ტორნადო“ ახალი ძალით დაატყდა თავს ინდოეთის აღმოსავლეთ სანაპიროს. არის მსხვერპლი, ბევრი დაშავდა. შტორმულმა ქარმა, რომლის სიჩქარე სათში 100 კილომეტრს აღწევდა, დანგრია სახლები, დაწვიტა ელექტროგადამცემი ბაზები, ძირფესვიანად მოგლიჯა ხეები.

სტიქია ამ რაიონში უკვე რამდენიმე დღეა მძვინვარებს. განსაკუთრებით დაზარალდა ორისის შტატი. აქ წყალდიდობისა და ძლიერი ქარის შედეგად 150 კაცი დაიღუპა. ასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა, მოიშალა კომუნიკაციები, განადგურდა ხილის ბაღები. შტატის ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს დაზარალებულთა დასახმარებლად.

ახალი დანაშაული

ბეირუთი. ქალაქი საიდა და მასთან ერთად მთელი ლიბანი ძაძებითაა მოსილი. 20-ზე მეტი დახოცილი და 30-ზე მეტი დაჭრილი — ასეთია ტელ-ავივისა და მისი ლიბანელი დამჭაშვების ახალი აგრესიის შედეგი, რომელიც მათ ჩაიდინეს განვლილ კვირას ლიბანელი ხალხის წინააღმდეგ. ისრაელის მხედრიონმა და ლიბანელმა სეპარატისტებმა განზრახ შეარჩიეს უქმე დღე ქალაქის მჭიდროდ დასახლებული უბნებისათვის ცეცხლის დასაშენად. რამდენიმე ჭურვი კათოლიკურ და მარიონეტთა ეკლესიებს იმ დროს მოხვდა, როცა იქ წირვა მიმდინარეობდა. დაინგრა ბევრი შენობა და საცხოვრებელი სახლი. ისრაელის მხედრიონისა და ისრაელის მოსაზღვრე ანკლავში მოკალათებული ლიბანელი დაქირავებულების დანაშაულმა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია ქვეყანაში. ლიბანის პრემიერ-მინისტრმა შ. ვაზანმა გადაჭრით დაგმო ისრაელი აგრესორებისა და ლიბანელი სეპარატისტების დანაშაულებრივი აქციები. მთავრობის მეთაურმა არაბულ სახელმწიფოებსა და მსოფლიოს საზოგადოებრიობას მოუწოდა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა ალაგმონ აგრესორები და დაიცვან ლიბანის მოსახლეობა განუწყვეტელი შეიარაღებული თავდასხმებისაგან.

კვლავინდებურად დაძაბულია ვითარება ბეირუთში. აქ პრაქტიკულად ბლოკირებულია ყველა გზა, რომელიც ქალაქის დასავლეთ და აღმოსავლეთ სექტორებს აკავშირებს. ეგრეთ წოდებული „წითელი ხაზის“ გაყოლებით, რომელიც პირობითად ყოფს ქალაქს, დროდადრო განახლდება ხოლმე სროლა ლიბანში მშვიდობის დასაცავად შეყვანილი არაბეთის ქვეყნების ძალებსა და კონსერვატორთა შეიარაღებულ რაზმებს შორის.

აქ მოსული ცნობებით, ლიბანელი სეპარატისტების მეთაური ჰადათი მოათავსეს ისრაელის ერთ-ერთ ჰოსპიტალში „გამოფიტული ნერვული სისტემის“ სამკურნალოდ. სხვა მონაცემებით, იგი დაიჭრა მისი ავიაზაკური რაზმების ერთ-ერთი ოპერაციის დროს. ტელ-ავივმა საჩქაროდ „გულამაჩუყებელი მზრუნველობა გამოიჩინა“ თავისი სამხრეთლიბანელი მარიონეტისადმი.

სურათებზე: ბეირუთის ერთ-ერთ დაზარალებულ კვარტალში. იუპი-ხაკდესის ფოტო.

ამ ორ კვირაში

უპირველეს არ არის ის ფაქტი, რომ ვაშინგტონის ახალი ადმინისტრაციის ნებისმიერი დიპლომატიური აქცია მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის ორგანოთა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იქცევა. რეპუბლიკელთა ასი დღის აქტივებისა და პასივების გაანალიზებით მიმომხილველები მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ცდილობენ. თუმცა, ბევრი დასავლელი სპეციალისტის აზრით, ნაადრევია რეიგანის კაბინეტის საგარეო პოლიტიკაზე მსჯელობა (მათ მიაჩნიათ, რომ ეგი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია), მაგრამ აშკარაა დიპლომატიური აქტიურობა. შეიმჩნევა აგრეთვე აღორძინება ადმინისტრაციის ძირითად საგარეო-პოლიტიკურ მიმართულებათა სერიოზული ტრანსფორმაცია, რაც ბოლო დღეებში რელეფურად გამოიკვეთა ახლო აღმოსავლეთის პრობლემასთან დაკავშირებით.

უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ახლო აღმოსავლეთში ვაშინგტონის პოლიტიკის ქვაკუთხედს ისრაელ-ეგვიპტის ურთიერთობა და კემპ-დევიდის გარიგება წარმოადგენდა. ამერიკელ მიმომხილველთა არცთუ უსაფუძვლო აზრით კი, რეგანისა და სახელმწიფო მდივნის ჰეიგის ახალი კურსი უკანა პლანზე აყენებს კემპ-დევიდის პროცესს და რეგიონალურ პრობლემებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გლობალური სტრატეგიის საერთო ინტერესებს უქვემდებარებს. ამერიკის პრესა სულ უფრო მეტს წერს პაკისტანიდან ეგვიპტემდე გადაჭიმული „ანტისაბჭოური ფარის“ საპირისპიროზე. თეთრ სახლთან ახლო მდგომი მიმომხილველები აშკარად ინსპირირებენ სტატიებში ბრალს სდებენ კარტერს, რომ იგი გადაჰყვა კემპ-დევიდს და მხედველობიდან გამორჩა ის „რეალური საფრთხე, რომელსაც სპარსეთის ყურეს მოსკოვი და ისლამური რეჟიმები უქმნიან“. აი სწორედ ამ „შეცდომის“ გამოსწორება ითავა რეიგანის ადმინისტრაციამ. მართალია, ჯერჯერობით ადმინისტრაციის დიპლომატიური აქტიურობის კულმინაციური წერტილი ახლო აღმოსავლეთში ჰეიგის ამსწინანდელი ვიზიტია, მაგრამ მანამდე სხვა პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა. ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საუდის არაბეთთან ურთიერთობის განმტკიცების ცდებს. მეთოდი უკვე ცნობილია — იარაღის მიწოდების დაჩქარება. ერრიადს ოფიციალურად ეცნობა, რომ იგი მიიღებს „ჰაერი-ჰაერის“ ტიპის რაკეტებს, გამწყობ თვითმფრინავებს, რათა უფრო ეფექტიანი გახდეს ამერიკაშივე შეკვეთილი 62 „ფ-15“ ავიაგამანადგურებლის შემტევი ძალა, ხუთ სადაზვერვო თვითმფრინავს და სხვა.

რაც შეეხება უშუალოდ ჰეიგის ვიზიტს, 2 აპრილს ჟურნალისტებთან საუბარში სამხრეთ აზიისა და ახლო აღმოსავლეთის საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ველოიტელმა საჯაროდ დაასახელა 2 მთავარი ამოცანა, რომლებიც ჰეიგის წინაშე იდგა: თანამშრომლობა უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში, რაც საჭიროა „საბჭოთა კავშირის მხრივ საფრთხის გამო“, და მეორე — „ამერიკის საგარეო-პოლიტიკური პოზიციის საერთო გადასინჯვის ფარგლებში ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესი“. დეპარტამენტის წარმომადგენელმა დასძინა, რაიმე სამხედრო კავშირის ან პაქტის შექმნა ამჟამად არარეალურია. აღსანიშნავია, რომ ველოიტელმა სულ ბოლოს დაასახელა ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა — ეგრეთწოდებული „მრავალეროვნული ძალების“ შექმნა. რას წარმოადგენს ეს „მრავალეროვნული ძალები“ და რა უდევს საფუძვლად ამ იდეას?

თებერვლის მიწურულს სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი რანგის თანამშრომელმა სტერნერმა იმოგზაურა ისრაელსა და ეგვიპტეში. პრესამ მაშინ ამ მოგზაურობას გაცილებით ნაკლები ადგილი დაუთმო, ვიდრე იგი იმსახურებდა. ტელ-ავივსა და კაიროში სტერნერი კემპ-დევიდის ფარგლებში სამხედრო თანამშრომლობის გაფართოების საკითხებზე აწარმოებდა მოლაპარაკებას. როგორც ცნობილია, ზუსტად ერთი წლის შემდეგ — 1982 წლის აპრილში ისრაელმა ეგვიპტეს უნდა დაუბრუნოს სინის უკანასკნელი ოკუპირებული ნაწილი — ეთიოპისა და ეითამის სამხედროსაპაერო და შარმ-ა-შეიხის სამხედრო-საზღვაო ბაზები. სანაცვლოდ ნეგევის უდაბნოში ვაშინგტონი უკვე უშენებს ისრაელს ორ ბაზას. გარდა ამისა ტელ-ავივის მოთხოვნით შეიქმნა ეგრეთ წოდებული „მემორანდუმი ამერიკის მთავრობისა და ისრაელის სახელმწიფოს თანხმობის შესახებ“. დოკუმენტი ამერიკის მხრივ მთელ რიგ დამატებითს ვალდებულებებს ითვალისწინებს. ბეგინმა იმასაც მიაღწია, რომ სინის უდაბნოში, მემორანდუმის თანახმად, დისლოცირებული უნდა იყოს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალები“, მაგრამ იმთავითვე ცნობილი გახდა, რომ აღნიშნულ ორგანიზაციას არავითარი სურვილი არ ჰქონდა კემპ-დევიდის სეპარატული გარიგების გარანტის როლში გამოსულიყო. ამიტომ სახელი შეუცვალეს და „მრავალეროვნული შეიარაღებული ძალები“ უწოდეს. ახლო აღმოსავლეთიდან სტერნერის დაბრუნებისთანავე, ერთ-ერთ ინტერვიუში ჰეიგი პირდაპირ აცხადებს, ზემოხსენებულ ძალებში ამერიკის მონაწილეობა „აუცილებელი იქნებაო“. აქვე წამოიჭრა ახალი პრობლემა, რომლის შესახებაც „ვაშინგტონ პოსტი“ წერდა, რომ საჭიროა ახლო აღმოსავლეთში ამერიკის „სტრატეგიული ყოფნის“ უზრუნველყოფა, მაგრამ ისე, რომ ეზრახულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ ქვეყნები, სადაც ამერიკის ჯარები უნდა განლაგდნენ. ეს უკვე რეალური პრობლემაა, ვინაიდან თვით სადათიც კი ვერ ბედავს საჯაროდ მიიწვიოს თავის ქვეყანაში ამერიკელი ჯარისკაცები. მან კარგად იცის, რაოდენ ძლიერია ანტიამერიკული განწყობილება მთელ რეგიონში. „მრავალეროვნული ძალების“ იდეის საკითხში მკვეთრი ანტიამერიკული პოზიცია დაიკავა ირანის მთავრობამაც, აპრილის პირველ რიცხვებში გამოქვეყნებული ირანის მთავრობის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეს იდეა ეგრეთ წოდებული „სწრაფი მოქმედების“ ძალების ამერიკული გეგმის გაგრძელებაა და სპარსეთის ყურეში იმპერიალიზმის გავლენის განმტკიცების ამოცანას ემსახურება. ამის თაობაზე თეირანმა სპეციალურად გააფრთხილა ყველა ისლამური სახელმწიფო. ფრთხილი, ორეჯოფული პოზიცია უკავია საუდის არაბეთის მეფის კარსაც. ამერიკული „ტაიმის“ მტკიცებით, ერ-რიადის დიპლომატიას მუდამ განსაზღვრავდა ორი სიტყვა — „წინდაბედულობა“ და „სიფრთხილე“. თუმცა ვაშინგტონსა და ერ-რიადში ერთმანეთის მიმართ დითირამბებს არ იშურებენ. მაგრამ საუდის არაბეთში დარწმუნებული არიან, რომ რეგიონში სტაბილურობა შეუძლებელია პალესტინის პრობლემის გადაუჭრელად. გარდა ამისა, მათ არც იმ ფაქტის უგულებელყოფა ძალუძთ, რომ აქ ცხოვრობს 100 ათასი პალესტინელი, რომელთაგანაც ბევრს მაღალი კვალიფიკაცია აქვს და გავლენიანი პოსტიც უკავია. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ სწორედ ერ-რიადმა მოითხოვა ჯიზაელ — საღვთო ომი ოკუპირებული ტერიტორიების გასანთავისუფლებლად.

თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემოაღნიშნულს, ბუნებრივია, რომ ჰეიგის მისია იმთავითვე გაწყვეტილი იყო. ამერიკელმა მინისტრმა ვერ შეძლო შეუძლებლის გაკეთება, ვერ დააჯერა არაბული სამყარო, თითქოს მთავარი საფრთხე მოსკოვიდან იყოს მოსალოდნელი. საინტერესოა, რომ ფაქტობრივად ვაშინგტონმა უკვე აღიარა ჰეიგის მარცხი.

ამის საბუთია კიდევ ერთი მისია ახლო აღმოსავლეთში. მხედველობაში გვაქვს სენატორ ბეიკერის ჯგუფის მისია, რომლის დღის წესრიგშიც უკვე ოფიციალურად დგას პალესტინელთა ავტონომიის საკითხი. რასაკვირველია, ჩვენ სრულიადაც არ გვგონია, თითქოს ჰეიგის მისიის შემდეგ ვაშინგტონი მკვეთრად შეცვლის თავის პოლიტიკას, მაგრამ ერთი რამ ცხადია: თეთრი სახლი იძულებულია ფორმალურად მაინც გაუწოროს ანგარიში არაბული სამყაროს საერთო გაწყობილებას.

ამ დღეებში პრეტორიაში ვაშინგტონის პირველ ელჩისას, კროკერს მასპინძლობდნენ და, როგორც ადგილობრივი, ისე ამერიკის პრესის თანახმად, პრეტორიაში მას გადაავიწყდა ის არასასიამოვნო წუთები, რომელიც აფრიკის დამოუკიდებელ ქვეყნებში განიცადა. პრეტორიაში კარგა ხანია ელოდნენ ვაშინგტონს წარგზავნილ. ჯერ არჩევნებისწინა კამპანიის მსვლელობაში, შემდეგ

აფშ:

მოვლენათა მიმოხილვა

● ა. ჰეიგის წარუმატებელი ვიზიტი ახლო აღმოსავლეთში ● ვაშინგტონის ემისარი პრეტორიაში

უკვე თეთრ სახლში რეიგანს მრავალჯერ გამოუთქვამს საჯაროდ თავისი სიმპათიები სამხრეთაფრიკელი რასისტებისადმი. კროკერის ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე კი პრეზიდენტმა საქვეყნოდ განაცხადა, მეგობარ ქვეყანას გასაჭირში არ მივატოვებთო.

იყო პერიოდი, როდესაც ვაშინგტონში სამხრეთ აფრიკა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით აინტერესებდათ. მას აქვი ბევრი რამ შეიცვალა. დღეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა მთელ კონტინენტზე რასიზმისა და კოლონიალიზმის უკანასკნელი ბურჯია. მეორე მხრივ, მკვეთრად გაიზარდა აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა როლი და მნიშვნელობა როგორც რეგიონალურ, ისე მსოფლიო პოლიტიკაში, რომლის ფონზეც პრეტორიის რეჟიმი განწირულად ესახება ყველა რეალისტურად მოაზროვნე სახელმწიფო მოღვაწეს. ამიტომ კარტერის ადმინისტრაცია აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის გაუჯობესების კურსს დაადგა, რასაც ბუნებრივია, პრეტორიასთან კავშირის ერთგვარი შეუსტება მოჰყვა. იმ პერიოდში ამერიკის წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იანგი, ზედიზედ აძლევს ხმას ანტირასისტულ რეზოლუციებს. შემთხვევითი არც ის ყოფილა, რომ 3 წლის წინათ სწორედ იანგი (წარმოშობით ზანგი) მიავლინა კარტერმა აფრიკაში, დღეს, როდესაც ვიხსენებთ იანგის მოგზაურობას აფრიკაში, ძალაუნებურად ფიქლში გვიკვლია ერკეერის ახლანდელი მისიის განსაკუთრებული კონტრასტი. პირველს თავისუფალ აფრიკასთან უნდა გაედო მეგობრობის ხიდი, მეორე თავისუფალ აფრიკის ყველაზე საშიშ მტერს უწევდის მეგობრობის ხელს. ვაშინგტონს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სტრატეგიული მდებარეობა იზიდავს. ამ მხრივ რეიგანის ადმინისტრაცია, ალბათ, არავითარ

ჩვენი ხელოვნების დესპანები

უსმენენ ქართულ ჯანგებს

ლაგოდეხი, ჩვენი რესპუბლიკის ამ ერთ-ერთ მოწინავე რაიონში, შრომასთან ერთად კარგი ქართული სიმღერაც უყვართ. აქ მომღერალთა მშვენიერი გუნდი ჰყავთ. ამ გუნდის შექმნას დიდი დრო და ენერგია შეალია რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა, კომკავშირის პრემიის ლაურეატმა თემურ ქევხიშვილმა.

მან როგორც გამოცდილმა ლოტბარმა და ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელმა, ხელი მოჰკიდა არცთუ ისე იოლ საქმეს, აიღერა და აახმიანა კახეთის მხარეში ოდესღაც მოგუგუნე, აწ მიძინებული ჰანგები „ძველი მრავალჟამიერი“, „ალილო“, „ზარი“ და სხვა.

გუნდმა პირველი ნათლობა მიიღო, ანუ რესპუბლიკის ფართო მაყურებლის წინაშე წარდგა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატებისათვის გამართულ კონცერტზე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. სიმღერებმა „ზარმა“ და „ალილომ“ დიდი მოწონება დაიმსახურა იმ საღამოს.

ამ ცოტა ხნის წინათ კი ლაგოდეხის რაიონის მომღერალ ვაჟთა 27-კაციანი გუნდი უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტს ეწვია.

პირველი კონცერტი ჩასვლისთანავე გაიმართა. გუნდმა ბრწყინვალედ წარმოადგინა თავისი რეპერტუარი. შესრულდა „მწყემსური“, „ფიცი“, „სულიკო“, რომელმაც განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა, მთელი დარბაზი აჰყვა ამ საქვეყნოდ ცნობილ ჰანგს. აქვე მასპინძელთა პატივსაცემად იმღერეს უნგრული ხალხური სიმღერა „ლამაზი გოგო“, რასაც ხანგრძლივი ოვაცია და შეძახილები მოჰყვა.

მეორე დღეს ქართველმა მომღერლებმა ბუდაპეშტის კომკავშირელ ახალგაზრდობის თხოვნით კონცერტი გაიმეორეს. მაყურებელმა რამდენჯერმე გაამეორებინა გუნდს „თუშური სატრფიალო“, „ალილო“, „სულიკო“ და უნგრული „ლამაზი გოგო“.

გუნდს ასევეა დიდი წარმატება ხვდა ქალაქებში სეკედ-პეჰელვარში, პეჩში, ჯაპოშვარში.

ჯაპოშვარში გუნდს საზეიმო შეხვედრა მოუწყო საქალაქო საბჭოს აღმასკომმა. მასპინძლებისა და სტუმრების სახელით ურთიერთს გულთბილი სიტყვებით მიმართეს ფერეს კოვაჩმა და ლაგოდეხის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ბექარ მამამთავრიშვილმა.

პროფესორმა ვახუშტი კოტეტიშვილმა, რომელიც თან ახლდა გუნდს, ამავე ქალაქის პედაგოგიურ უნივერსიტეტში რუსულ ენაზე წაიკითხა ლექცია „ქართული ფოლკლორის ნიმუშები“, ჯაპოშვარის საქალაქო გაზეთმა ვრცელი წერილი უძღვნა ქართველ მომღერალთა ხელოვნებას.

ქართველი მომღერლები მეგობრულ ვიზიტად მიიწვია უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გენერალურმა მდივანმა დიელა ზორომ, რომელმაც შეხვედრაზე აღნიშნა გუნდის მაღალმხატვრული დონე, გამოთქვა აზრი, რომ ასეთი შეხვედრები ხელს შეუწყობს და გააღრმავებს უნგრელი და საბჭოთა ხალხის მეგობრობას.

ლაგოდეხის რაიონული კულტურის სახლთან არსებული მომღერალ ვაჟთა გუნდი მონაწილეობდა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაში, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავს მიეძღვნა.

მაღე საკავშირო ფირმა „მელოდია“ ლაგოდეხელთა მიერ შესრულებული სიმღერების გრამფირფიტებს გამოუშვებს.

ვლ. მჰედლიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ადამიანის ჯანმრთელობისათვის

გაიმართა საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების XIII ყრილობა. ეს საზოგადოება აერთიანებს ორ მილიონზე მეტ კაცს.

მისმა თავმჯდომარემ ო. ცანავამ თავის მოხსენებაში ილაპარაკა განვლილ ხუთწლეულში ამ ორგანიზაციის საქმიანობაზე. 17 ათასი საზოგადოებრივი ინსპექტორი აქტიურად მონაწილეობს პროფილაქტიკურ და სანატორიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში.

ყრილობას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია, სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ი. ოსტალსკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ე. სეხნაიშვილი, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ა. გეგელაშვილი.

ყრილობამ აირჩია ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა. თავმჯდომარედ არჩეულია ო. ცანავა. აირჩიეს ავტორეთვე სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის მეცხრე საკავშირო ყრილობის დელეგატები.

(საქინფორმი).

ქართული ლექსთმცოდნეობის ფუძემდებელი

XVIII **საუკუნის** დასაწყისში ქართულ ენაზე პოეტიკის სახელმძღვანელო დაიწერა. 1731 წლის 1 თებერვალს პოეტი და მხედარი მამუკა ბარათაშვილი ამთავრებს თეორიულ ტრაქტატს „სწავლა ლექსის თქმისა და დასაწყისი პირველი წიგნისა ამის ჭაშნიკისა, პოვნილი მამუკა ბარათაშვილის მიერ ძველთა ნათქვამთაგან“. ეს წიგნი ჩვენში „ჭაშნიკის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

„ჭაშნიკს“ აქვს საერთო პოეტიკის ზოგად თეორიასთან, რომელიც თავისი ნორმატიულობით ერთნაირად არის დამახასიათებელი ანტიკური თუ აღორძინების ეპოქის ქმნილებებისათვის. არისტოტელე გვასწავლის, თუ როგორ შეგადგენოთ ფაბულები, ბუალო მკაცრად მოითხოვს სამი ერთიანობის კანონის დაცვას, მამუკა ბარათაშვილი საგანგებოდ მიუთითებს: „ეს სწავლა დავსწერე, რომ ლექსი ურიგოდ არავის მოუვიდეს“. საზომთა შერევის აკრძალვა (ზაირსა და ჩახრუხაულში გრძელ-შაირისა და გრძელ-ჩახრუხაულის ჩართვა), რასაც მამუკას ნორმატიულ კოდექსში თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი, შორეულ სათავეს არისტოტელეს „პოეტიკიდან“ იღებს. მაგრამ „ჭაშნიკი“ მეტ სიახლოვეს მაინც აღმოსავლურ პოეტიკასთან ამჟღავნებს.

„ჭაშნიკი“ პოეტიკის ტიპური სახელმძღვანელოა. იწყება შესავლით, რასაც მოსდევს ლექსთწყობის წეს-კანონების განხილვა. შესავლის მთავარი აზრი შეიძლება ამ ერთი წინადადებით გადმოიცეს: „მაშ, მართებს, კაცმა ავი ამბავი არ გალექსოს“. თხზულების მეორე ნაწილი იწყება სიტყვებით — „აწ ესე ვთქვათ“ და აქვეა კონდენსირებული მისი შინაარსი: „ლექსი მრავალ ხმა არის“. ამ ნაწილში განხილულია ქართული ლექსის საზომები. „ახლა ეს ვთქვათ“, გადადის ავტორი თხზულების მესამე ნაწილზე და აქვე ამბობს თავვარ ათქმელს — „თუ ლექსი როგორ უნდა თქვას, ვისცა უნდა“.

„ჭაშნიკი“ მეტრიკის სახელმძღვანელოა. მამუკა ბარათაშვილი, როგორც თეორეტიკოსი და როგორც პოეტი, არსებულობთ ვერსიფიკატორია. თავის საკუთარ ლექსებს, ორიოდე გამონაკლისის გარდა, იგი საზომების მიხედვით ასათაურებს, „ჭაშნიკში“ ძველი და ახალი ხმების (საზომების) ანალიზს ახდენს, სულხან-საბა ორბელიანის მაღალი შეფასებაც „ქილილა და დამანას“ მეტრული მრავალფეროვნებით არის გამოწვეული.

ქართული კლასიკური ლექსის სტრუქტურის დასადგენად, უფრინარეს ყოვლისა, სტრიქონის სახის დადგენაა საჭირო. საზომთა ანალიზს მამუკა სტრიქონის სქემის ჩაგნებით იწყებს, ხოლო სტრიქონი „მუხლების კომბინაციად მიაჩნია“ (აკ. გაწერელია). მუხლი მარცვალთა ოდენობით არის განსაზღვრული. სიტყვა „მოჯნური“, რომელიც სტრიქონის მეტრული სქემის შესადგენად გამოუყენებია, ხან სამმარცვლიან მუხლს ქმნის, ხან ოთხმარცვლიანს, ხან კი ხუთმარცვლიანს.

მამუკა ბარათაშვილმა იმთავითვე სწორი ორიენტაცია აიღო, რომ ქართული ლექსის ბუნების განსაზღვრისას, მუხლთან ერთად აქცენტი ცეზურაზე გადაიტანა.

ცეზურა („ჭაშნიკის“ ტერმინით: გაყოფა, გაჭრა), რომელიც ჯერ კიდევ „ქილილა და დამანას“ საბასეულ თარგმანშია გამოყენებული, სტრიქონის რიტმული რეგულატორია, მუხლის მუხლისაგან გამყოფი.

სტრიქონის კონსტრუქციაზე საუბრისას მამუკა გამოყოფს კიდევ სამ ელემენტს: სტრიქონის ბოლო, ტანი და თავი. „ლექსის ბოლოები, — გკითხულობთ „ჭაშნიკში“,— ბევრი ასო რომ ერთმანეთის ტოლი იყოს, იმითი არ გაეწყობა. ასე უნდა: სიტყვა სიტყვას ეწყობოდეს“. როგორც „ჭაშნიკის“ პირველმა მკვლევარმა და პუბლიკატორმა ა. ხახანაშვილმა შენიშნა, „ლექსის ბოლოები“ იგივე რითმაა. მამუკამ შეუცდომლად განსაზღვრა ქართული რითმის ბუნება, როცა მასში მთლიანი სიტყვების და არა ცალკეული ბგერების შეწყობაზე მიუთითა.

ტანი სტრიქონის სხეულია, მისი უგრძესი ნაწილი, თავი — პირველი მუხლი. ეს ცნებები „ჭაშნიკიდან“ უნდა ჭქონდეს აღებული დ. გურამიშვილს: „ტანსა რაც გინდა უყავი, თავს ნუ შემირყეო“.

ქართული ლექსთმცოდნეობის ფუძემდებელი

სალექსო სტრიქონის დეტალური ანალიზის შემდეგ უკვე ადვილია ლექსის ხმის პოვნა, რაც მელექსის მთავარ ამოცანას შეადგენს. ხმა ვერსიფიკაციული ტერმინია და ნიშნავს ლექსის საზომს, მეტრს, საერთოდ — სალექსო ფორმას, რადგან მამუკასეული „ხმები“ ზოგჯერ საზომთან, მეტრთან იდენტურია და მხოლოდ სტროფიკით ან რითმით არის განსხვავებული (ზაირი და ჩახრუხაული, გრძელ-ზაირი და მდენარი).

მამუკა ბარათაშვილმა მოგვცა პირველივე ნიმუში მის მიერ პოვნილი ხმების (საზომების, სალექსო ფორმების) კლასიფიკაციისა. ავტორმა იმთავითვე სწორად მიუთითა, რომ ქართული ლექსის ბუნების განსაზღვრისთვის საკმარისი არ არის „ცარიელი მარცვლების თვლა“. ზაირი და გრძელ-ზაირი (მაღალი და დაბალი ზაირი), მიუხედავად იმისა, რომ მარცვლთა ოდენობით თანაბარია, „ჭაშნიკში“ წარმოდგენილია როგორც ორი დამოუკიდებელი ხმა.

მაგრამ „ჭაშნიკის“ ავტორი არ კმაყოფილდება საზომთა აღწერით. ქართული ლექსთმცოდნეობის პირველსავე ძეგლში აღწერითი პოეტიკის ზღუდე დაძლეულია და გადალახულია. ტრაქტატში საგანგებოდ არის მითითებული: „ერთი რიგი ხმა“ ერთი ამბისათვის უნდა, „სხვა ხმები სხვის რიგისათვის არის“. ლექსის ხმა სათქმელის ხასიათთან უნდა იყოს შეფარდებული. მაგრამ მამუკა ფრთხილია. მან კარგად იცის, რომ საზომის მიმართება სათქმელთან მკაცრი კანონზომიერებით არ ხასიათდება. მინაწერები, რომლებიც ამ საგანზე მსჯელობას თან ახლავს — „ამგვარი იგავები ამ ხმის უფრო გაეწყობა“, „იმის სათქმელად კარგია“, და სხვ., იმაზე მიუთითებს, რომ „ჭაშნიკის“ ავტორი მელექსეთა სწავლებისას მეტ ტაქტსა და ზომიერებას იჩენს, ვიდრე იმ საუკუნეთა ცალკეული რაციონალისტ-ნორმატივისტები.

მამუკას აზრით, პოეტი ერთნაირად უნდა ფლობდეს ლექსის გაწყობისა და ამბის შერჩევის ხელოვნებას. იგი ფორმისა და შინაარსის ჰარმონიული შესატყვისობის პრობლემას სვამს. თუ გავითვალისწინებთ ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების მაშინდელ დონეს, ლიტერატურათმცოდნეობის ამ კარდინალურ საკითხზე სწორი პასუხის გაცემა თუნდაც მარტივი სახით „ჭაშნიკის“ ზოგადთეორიულ მნიშვნელობას მაღლა სწევს.

ამრიგად, მეტრიკა მთლიანად ვერ ფარავს „ჭაშნიკის“ შინაარსს. მამუკა არ ჩერდება მხოლოდ ვერსიფიკაციაზე. იგი გვასწავლის არა მხოლოდ იმას, როგორ უნდა ვწეროთ, არამედ იმასაც, რაზე უნდა ვწეროთ და რაზე არ უნდა ვწეროთ.

მამუკა მკაცრად გმობს იმ პოეტებს, რომელთაც ეროვნული შეგნება არა აქვთ („თათრის ზღაპრები გაულექსავთ“) ანდა მორალურ-სარწმუნოებრივი იდეალი არ ამოძრავებთ („სალმთო წერილი სამეძაოდ გაულექსავთ“). მის მიერ რეკომენდებული „კაი ამბებში“ წინა პლანზეა დიდაქტიკა, საგმირო საქმეები, სამშობლოს სიყვარული. მამუკა ბარათაშვილს კარგად ესმის პოეზიის მაღალი დანიშნულება; რად ღირს, თუნდაც, თხზულების დასაწყისი: „ლექსი ერთი რამ არის ამ სოფლის საქმეში“. თავად პოეტსა და მხედარს სჯერა პოეზიის ღიდი ზემოქმედებითი ძალისა: „კაცს გააგულოვნებს, ომს მოანდომებს და სჯულისა და მეფის და ქვეყნის მტერზე გამოსაყენებელია“. ძნელია აუღელვებლად ამ სიტყვების ციტირება. პოლიტიკური უბედობის, ფიზიკური და სულიერი უმწეობის ხანაში „ჭაშნიკს“ ავტორმა ქართულ მწერლობას იდეალად დაუსახა საბრძოლო ლექსი.

ამ მრავალ საკითხთაგან, რომლებიც ტრაქტატშია დასმული, ავტორი პასუხს იძლევა კიდევ ერთ ზნეშვნელოვან პრობლემაზე — როგორია ბუნება ქართული ლექსისა. „ჭაშნიკის“ ავტორს ქართული ლექსი სილაბური სისტემის ფარგლებში ეგულება. იგი ემყარება მარცვალთა ოდენობითს მონაცემებს და ამავე დროს არ იცნობს მახვილს.

მამუკა ბარათაშვილმა მწყობრი ვერსიფიკაციული სისტემა შექმნა. იგი თეორეტიკოსის გონებით და პოეტის ალღოთი ჩასწვდა ქართული ლექსის ბუნებას, მიაგნო მის კანონზომიერებებს, გამოყო და დაალაგა მისი სტრუქტურის ელემენტები. მთელი ეს სამუშაო, „ჭაშნიკის“ მესამე (ძირითად) ნაწილს რომ შეადგენს, შესრულებულია ისეთი სკრუპულოზური სიზუსტით, რომელიც იმ დროის ყველა ღირსეულ სამეცნიერო ნაშრომს, ყველა შეშმარიტ პოეტიკურ ტრაქტატს დაამშვენებდა.

ჩვენს საუკუნეში, როცა ქართული ლექსთწყობის კვლევისას არა ერთხელ მიუბრუნდნენ სილაბურობის თეორიას, „ჭაშნიკს“ აღარა აქვს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა. მამუკა ბარათაშვილს უს პატარა ტრაქტატი დიდი საქმის წამომწყები გახდა. მან სათავე დაუდო ჩვენი წყობილსიტყვაობის მეცნიერულ შესწავლას.

მამუკა ბარათაშვილი ქართული ლექსთმცოდნეობის საფუძველს დამდებია.

აკაკი ხინთიბიძე.

თეატრალურ აფიშასთან

ცალკეულ გამოჩენილ ადამიანთა ღვაწლი იმით ფასდება, თუ როგორ მოუხერხებიათ მათ წინა და თავიანთი თაობების ნამუშევრის შეთვისება-განვითარება და ყოველივე ამის მომავალი თაობებისათვის გადაცემა.

ამიტომაც დიდი სჭმია ასეთი ადამიანების ნააზრევის, მათი ნაამაგარის წარმოჩენა, მათთვის სათანადო, ჯეროვანი ადგილის გამოკვეთა-მიჩენა ხალხთა კულტურის საგანძურში.

ვისაც ეს მიზანი დაუსახავს და ხელიწიფება კიდევ მისი განხორციელება, უსათუოდ ერის ისტორიის, მისი კულტურის თანამდგომი და ქომაგია. ამის ცოცხალი მაგალითია ოთ. გვინჩიძის წიგნი „**ნიკოლოზ ანდრიას ძე წერეთელი**“, რომელიც გამოუშვა გამომცემლობა „მეცნიერებამ“.

ღვაწლი წინაპრისა

წიგნი მივიწყებულ მამულიშვილზე

ავტორს დიდი გულმოდგინებით და რუდუნებით შეუსწავლია XVIII საუკუნის ოცდაი წლებიდან რუსეთში ემიგრირებულ ქართველთა მდგომარეობა, მათი მოღვაწეობა-დამსახურება, დიდძალი მასალა დაუგროვებია და „განუზრახავს ჩვენი მკითხველისთვის გაეცნო ყველაფერი, რაც ყურადსაღები და მნიშვნელოვანია მათი მოღვაწეობიდან და ნააზრევიდან.

ამ საქმეს ოთ. გვინჩიძემ ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინათ მოჰკიდა ხელი. ჯერ იყო და, მეტად საინტერესო პიროვნების, ალექსი ნიკოლოზის ძე წერეთლის, ნიკოლოზ ანდრიას ძის შვილის ცხოვრება და მოღვაწეობა შეისწავლა, ცალკე ნაშრომი მიუძღვნა მას და გამოაქვეყნა კიდევ 1962 წელს სათაურით „ო. ნ. (ვირტელევი — რუსეთის გენერალური კონსული ბულგარეთში“.

შემდეგ გამოჩენილი ქართველი მოღვაწის ევგრაფ გრუზინოვის (ასევე მისი ძმის — პეტრეს) ტრაგიკული ბედი აგვიწერა. ეს ის გრუზინოვია, რომელსაც ჯერ კიდევ დეკაბრისტებამდე უფიქრია და ჩამოუყალიბებია აზრი იმდროინდელი სახელმწიფო ხელისუფლების ძირეული შეცვლისა, მეფის ტახტის დამხობისა და მის ნაცვლად „მზის ქვეშ მცხოვრები ყველა ადამიანისათვის“ სენატის შექმნისა, რომელიც, მისი რწმენით, თავისუფლების მიანიჭებდა ხალხს. ეს დიდად საგულისხმო და მნიშვნელოვანი ფაქტი პირველად გამოამზეურა ოთ. გვინჩიძემ და ამაღლებულად უამბო მკითხველს ხალხის ნათელი მომავლისათვის თავდადებული ძმების — გრუზინოვიანების სიკვდილით დასჯის შემზარავი ამბავი.

შემდგომ ამისა, ოთ. გვინჩიძემ ცალკე წიგნი მიუძღვნა საქვეყნოდ განთქმული მოღვაწის ანთმიოს იერეიელის ფასდაუდებელ ამაგს. კონსტანტინოპოლის ბაზარზე მონად გაყიდულმა ქართველმა უდიდესი როლი შეასრულა XVII საუკუნის დამლევსა და XVIII საუკუნის დამდეგს ბეჭედით სიტყვის განვითარებაში. მან თავის სამშობლოში საფუძველი ჩაუყარა პირველი ქართული სტამბის დაარსებას.

ნიკოლოზ წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ოთ. გვინჩიძის ეს ბოლო წიგნი მისი ზემოთ დასახელებული ნაშრომების ერთგვარი გაგრძელებაა.

შემოქმედებითი ძიების პროცესში ავტორს დიდძალი მასალა დაუგროვებია. ამ და ბევრი საყურადღებო ფაქტისათვის მიუკვლევია.

ამ წიგნში, ისევე როგორც თავის სხვა ნაშრომებში, ოთ. გვინჩიძე საგანგებოდ აღნიშნავს ქართველ მოღვაწეთა ინტერნაციონალისტურ ბუნებას, იმ ფაქტს, რომ ისინი პატრიოტიზმით კიდებენ სხვა ერებს, მათს კულტურას.

ნ. ა. წერეთელი იყო არა მარტო უკრაინელი ხალხური შემოქმედების პირველი შემკრები და გამომცემელი, არამედ რუსული სიტყვიერების ერთ-ერთი პირველი პროპაგანდისტიც. მის ამ ღვაწლს დიდად აფასებდა რუსი ხალხი. ამის დასტურად მარტო ის კმარა, რომ 1901 წელს გამოცემულ „რუსულ ბიბლიოგრაფიულ ლექსიკონში“ საგანგებოდ არის აღნიშნული მისი ეს დამსახურება.

დიდია ნ. ა. წერეთლის ღვაწლი რუსული სიტყვიერების განვითარებაში. იგი მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ხალხურობა, თავისთავადობა ჭეშმარიტი პოეზიის მთავარი ნიშანია და მოუწოდებდა სიტყვის ოსტატებს, ეროვნული კოლორიტი მიენიჭებინათ ნაწარმოებებისათვის. ხალხური პოეზია ნ. ა. წერეთელს წინაპართა გულისა და გონების გამოძახილად მიაჩნდა.

წიგნის ავტორის უდავო დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ესოდენ საჭირო და საშური ეროვნული საქმის გასრულება — სხვათა ქვეყნებში მოღვაწე ჩვენი სახელოვანი წინაპრების ნაამაგარის გამომზეურება და წარმოჩენა.

კ. ცხადაია.

ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის დრამატულმა თეატრმა ამ ცოტა ხნის წინათ წარმოადგინა ალეკო მთიაშვილის ორნაწილიანი პიესა „ახირებული ბერიკაცები“.

პიესის თემაა სოფლის კეთილდღეობაზე ზრუნვა და ფიქრი. გმირები, ჭარმაგი ბერიკაცები ყველაფერს ღონობენ, რათა კერა არ ჩაქრეს. ეს კეთილი, იუმორით აღსავსე მოზუცები სალ კლდესავით დგანან სინდისისა და პატიოსნების დასაცავად, უყვართ სოფელი, ოჯახი, ქვეყანა, მტკიცეა მათი მეგობრობა, მდიდარია მათი სულიერი სამყარო.

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა მ. ფურცხვანიძემ. სცენოგრაფია ეკუთვნის საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს გ. ბერეჩიკიძეს, მუსიკალურად გააფორმა ნ. ედგარიძემ. როლებს ასრულებენ: ო. ქურციკიძე (სეფე), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი შ. მოსია (კაცია), ვ. გაბისონია (ანტიფო), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. როგავა (ილარიონი), ახალგაზრდა მსახიობი მ. გელაშვილი (ბანანა), მ. სვირავა (ნოდარი) და სხვები.

მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა დავითარა გოგიჩაიშვილმა პუპი ბებიის როლში.

(საკ. კორ.).

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ლენინის ორდენოსან კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მიმდინარეობს ფერადი ორსერიიანი მხატვრული ფილმის „დემეტრე მეორის“ გადაღება, რომელსაც თავისივე სცენარის მიხედვით დგამს რეჟისორი რამაზ ხოტივარი, ოპერატორები არიან ჯიმი ქრისტესაშვილი და გიორგი გამილაღდაშვილი. ფილმს აფორმებს მხატვარი კახი ქორიძე, ხურათს დირექტორია რეზო ნიკოლაიშვილი, კოსტიუმებს მხატვრები — მედეა ბაქრაძე და ქეთევან ფალავანდიშვილი.

ახალი ფილმი მოგვითხრობს მეფე დემეტრე მეორის, თავდადებულად წოდებულის ტრაგიკულ ცხოვრებაზე, ქართველი ხალხის ბრძოლაზე თათარ-მონღოლთა ურდოების წინააღმდეგ XIII საუკუნეში. მთავარ როლს ასრულებს თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი ლევან თუთბერიძე. ფილმში მონაწილეობენ აგრეთვე მსახიობები კახი კავსაძე, ლია ქავთარაძე და სხვები.

ფილმს გადაღება მიმდინარეობს თბილისის შემოგარენში, შატლში, მეხეთში, დავით გარეჯსა და სხვა თვალწარმტაც ადგილებში.

ი ლ ე ბ ე ნ ფ ი ლ მ ს...

სურათებზე: ზემოდან — სცენარის ავტორი და რეჟისორი რ. ხოტივარი და ჯ. ქრისტესაშვილი; მორიგი დუბლების გადაღების დროს.

გ. კიკვიძის ფოტო.

ყაბალი შეჯიბრებიდან დაბრუნდა

პოლონეთის ქალაქ ლოძში 23-26 აპრილს გაიმართება ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. საბჭოთა კავშირიდან ლოძში გაეგზავნენ მოსკოველები რ. დმიტრიევი, ს. ხასიმიკოვი და ე. კოროვეი, მახაჩყალელები მ. მაგომედოვი, ი. შუგაევი და ბ. იბრაგიმოვი, ორჯონიკიძელი ო. კალოევი, ყდანოველი მ. ხარაჩური, კრასნოიარსკელი ვ. ბატნია და კემეროვოელი ა. იარცევი. საბჭოთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ი. შახმურადოვმა განაცხადა, ნაკრებში ის სპორტსმენები შეეყვანეთო, რომლებიც ამჟამად ყველაზე უკეთ არიან მომზადებულნი. ზოგიერთები ნაკრებში იმიტომაც ვერ მოხვდნენ, რომ ჯერ კიდევ აწუხებთ ადრე გამართულ ასპარეზობებში მიღებული ტრავმები. ერთი ასეთთაგანია თბილისელი გიორგი მაკასარაშვილი, რომელიც სულ ახლახანს ტოლედოში (აშშ) საბჭოთა ნაკრების სხვა წევრებთან ერთად მსოფლიო თასის მფლობელი გახდა. მან სწორედ თასის გათამაშების დროს მონღოლე ათლეტთან ორთაბრძოლაში დაიშავა ნეკნი და, ცხადია, ლოძში ვერ ჩაეგზავრებოდა.

საქართველოში თავისუფალ მოჭიდავეთაგან გიორგი მაკასარაშვილი სწორედ ის ფალავანია, რომლისგანაც განსაკუთრებულ და მნიშვნელოვან გამარჯვებებს ველით, თანაც, ისეთი უმაღლესი რანგის შეჯიბრებებში, როგორიც სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებია. ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოსულს ახლახან ვეესაუბრეთ. ინ რა გვითხრა მან: — მსოფლიო თასის გათამაშებაში ზოგი შეხვედრა მოვიგე, ზოგიც წავაგე. რაც შეეხება ამერიკელთა ნაკრებთან ამხანაგურ სამ შეხვედრას, სამჯერვე გავიმარჯვე: ჩაკ ეგლასთან (ატლანტიკ-სიტიში, ნიუ-ჯერსის შტატი), ლეროი კემპთან (სანფრანცისკოში) და დევიდ შულცთან (ოკლაჰომა-სიტიში, ოკლაჰომა- შტატი). ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლეროი კემპთან გამარჯვება, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იგი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ძალიან ძლიერი მოჭიდავეა, მეორეც იმიტომ, რომ მსოფლიო თასის გათამაშების დროს სწორედ მასთან დავმარცხდი და შეეძელი რევანშის აღება. საერთაშორისო სარბიელზე არც თუ ხშირად ვასპარეზობ და ამიტომ გამოცდილებაც მაკლია. ამ მხრივ ამერიკაში ტურნემ დიდი სამსახური გამიწია.

გიორგი მაკასარაშვილი ამჟამად საკავშირო ჩემპიონატისათვის ემზადება. ეს ასპარეზობა 11-14 ივნისს ულან-უდეში გაიმართება და მხოლოდ იქ გამარჯვების შემთხვევაში მოხვდება იგი საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში. სწორედ ამ ვითარებაში შეძლებს მაკასარაშვილი იუგოსლავიაში გამგზავრებას, სადაც სექტემბერში მსოფლიო ჩემპიონატის გამართვაა განზრახული. მას. ეს კარგად აქვს შეგნებული და ქართველი ფალავანი გულდაგული ემზადება ახალი მწვერვალების დასალაშქრავად. ჭიდაობის ამ სახეობაში ხომ კარგა ხანია ველით ჩვენი რესპუბლიკის ფალავანთა გამობრწყინებას და წარმატებათა ახალი გზის გაკვლევას. ამ შემთხვევაში გზის გამკვლევად გიორგი მაკასარაშვილი გვინდა ვიხილოთ, იქნებ მას სხვებმაც აუბან მხარი, გამოჩნდნენ უტები ფალავნები და მნიშვნელოვან გამარჯვებათა გამო საზეიმო განწყობილებაც ხშირად გვექნება.

ჯ. ენუქიძე.

სატურნირო ორგიტა

ფეხბურთი. გუშინ გაიმართა პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეხუთე ტურის მატჩები. ამ ასპარეზობაში მონაწილე საქართველოს გუნდებმა შინ გამართეს შეხვედრები. ქუთაისის „ტორპედომ“ მიიღო ხაბაროვსკის არმიელთა გუნდი და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. ბურთი გაიტანა დარჯანიმ. ქუთაისელები 8 ქულით ლიდერთა შორის არიან. ლანჩხუთის „გურიამ“ კი უმასპინძლა მოსკოვის „ლოკომოტივს“. ლანჩხუთელებმა იმარჯვეს — 1:0. ბურთი გაიტანა დუდამ.

ტენისი სროლა. სოხუმში გამართულ საკავშირო პირველობაში ქალთა შორის თავი ისახელა საქართველოს სპორტსმენმა ნ. ალეინიკოვამ (ასკ). მან მე-9 ვარჯიშში 600 შესაძლებლიდან 597 ქულა დააგროვა, პირველობა მოიპოვა და საერთაშორისო კლასის სპორტის ნორმატივი შეასრულა.

ბადრაკი. მოსკოვში დასასრულს მიუახლოვდა დიდოსტატთა საერთაშორისო შეჯიბრება. მეთრამეტე ტურში დაზავდნენ პეტროსიანი-კარპოვი, კასპაროვ-ბალაშოვი, ტორე (ფილიპინები)-გელერი, სმეიკალ (ჩეხოსლოვაკია)-ჰოლუგაევსკი. სამი პარტია გადაიდო. მეთორმეტე ტურის წინ კარპოვს 8 ქულა ჰქონდა, კასპაროვსა და პოლუგაევსკის — 6,5-6,5 ქულა.

გუშინ თბილისში მიმდინარე ოთხთა მატჩ-ტურნირზე გამოცხადდა, რომ საქართველო-ლენინგრადის მატჩში ფაიბისოვიჩი თამაშის განუახლებად დანებდა სტურუას, ხოლო აზმაიფარაშვილმა თავი დამარცხებულად ცნო ერმოლინსკისთან. საქართველო-უკრაინის მატჩში უკრაინელებმა საერთაშორისო ოსტატ სემიონოვას ნაცვლად მსოფლიო ექსჩემპიონ გაფრინდაშვილის წინააღმდეგ ახალგაზრდა ოსტატი ლელჩუკი გამოიყვანეს. შედეგი არ შეცვლილა — ისევ გაფრინდაშვილმა გაიმარჯვა. ქალთა მეორე დაფაზე ქ. მელაშვილმა დაამარცხა ოსტატი მუჩნიკი. გუფელდ-პალატნიკის, გურგენიძე-ლერნერის, უბილავა-ეიხგორნისა და სტურუა-ფოიგელის პარტიები ყაიმით დასრულდა, ხოლო აზმაიფარაშვილი დამარცხდა მალანიუკთან. ანგარიში გახდა 4:3 საქართველოს გუნდის სასარგებლოდ. ერთი პარტია დადაიდო. ლენინგრადისა და ლატვიის ნაკრები გუნდების მატჩის ანგარიში ჯერჯერობით თანაბარია — 3:3.

სოფლის სპორტული კომპლექსი

თერჯოლა. (საკ. კორ.). საუკეთესო საჩუქარი მიიღეს ჭოგნარელმა ახალგაზრდებმა. აქ გაიხსნა საკადრაკო კლუბი. იმავე დღეს გაიმართა სპორტაკიადის პროგრამაით გათვალისწინებული ზონალური ტურნირი.

ამ მოვლეხისადმი მიძღვნილ საზეიმო მიტინგზე ბევრი რამ ითქვა საგულისხმო. ჭოგნარი რესპუბლიკაში პირველი სოფელია, სადაც მოეწყო მშთ ფიზკულტურული კომპლექსის ტარასა. გარდა ამისა აქაური ახალგაზრდების განსაკუთრებულმა ფეხბურთის, კალთბურთის, ფრენბურთის მოდნები, მძლეოსნური სექტორი, საჭადაო დარბაზი, სასროლეთი, სატანვარჯიშო.

ამიტომ იყო, რომ მოსკოვის ოლიმპიური ასპარეზობისადმი მიძღვნილ სპორტული კომპლექსების შშენებლობის დათვალიერებაკონკურსში, რომელიც სამ ეტაპად მიმდინარეობდა, გამარჯვებულის სახელი დაიმსახურა ამ სოფლის საშუალო სკოლის ფიზკულტურის კოლექტივმა.

ამ საქმის თაოსანია საშუალო სკოლის ფიზკულტურის ხელმძღვანელი ლ.